ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

15 თებერვლიდან!

„ახალი თაობა“ +

სერია „დიდი ქართველები“

სოლომონ II

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




პარასკევი, 15 თებერვალი, 2013 №38 (6039) ფასი: 30 თეთრი

# ვანო მერაბიშვილის დედამ სკოლის მოსწავლეებსა და დამლაგებელს სცემა

განათლების სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო



გვ.3

## გივი თარგამაძეზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა

გვ.3





ჯუმბერ მილორავა: „ციხის ბუნტის მსვლელობას ახალაია თავადვე იღებდა ვიდეოკამერით“

გვ.4



## დეპუტატი მუშტი-კრივში იცნობა

გვ.3

პეტრე მამრაძე: „დამნაშავეები ვირის აბანოში მიაბრძანეთ“

გვ.6



ქეთი დოლიძე: „არ დავნყნარდები, სანამ ნაციონალები ხელშეუხებლები იქნებიან!“

გვ.2

## დავრჩებით თუ არა რუსეთთან პირისპირ?

გვ.2



## 15 თებერვალს „ქართული კულტურის ოქროს ფონდის“ პირველი ტომის, კოტე მარჯანიშვილის პრეზენტაცია-განხილვა გაიმართება




15 თებერვალს რუსთაველის სახელობის თეატრალურ უნივერსიტეტში გაიმართება პროექტ „ქართული კულტურის ოქროს ფონდის“ პირველი ტომის, კოტე მარჯანიშვილის, პრეზენტაცია-განხილვა. პრეზენტაცია 4 საათზე დაიწყება. „ქართული კულტურის ოქროს ფონდი“ ახალი პროექტია, რომელიც გამომცემლობა „გუმბათმა“ ორი კვირის წინ დაიწყო. პირველი ტომი კოტე მარჯანიშვილის შესახებ ჟურნალ „სარკესთან“ ერთად უკვე იყიდება.

ათბ-ნიუსი





ვალენტინობის დღეს მაგთიკომმა ფოტოკონკურსის 3 გამარჯვებული რომაული არდადეგებით დააჯილდოვა

გვ.5

6 თებერვლიდან!

„ახალი თაობა“

+

ჩე გევარა

8 ლარი




2 სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება

7 საქართველოში საგანგებო დემოგრაფიული მდგომარეობა ცხადდება?

5 ეკა ბესელია: „დავითაშვილის ლოყა და ჩიორას ცხვირი დაცული უნდა იყოს!“

7 მაია ორჯონიკიძე: „ჩემი შვილი იზოლატორში ბიძინა ივანიშვილმა გამოამწყვდია“

9 771987 938006

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# უჩა ნანუაშვილი: „საქართველოში პოლიტიკური კულტურა სერიოზულ კრიზისშია“

ნათია ხურცილავა

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აფასებს. ომბუდსმენის განცხადებით, ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დეფიციტია.

სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ტელეკომპანია „მაესტროზე“ მომხდარმა ინციდენტმა დაადასტურა, რომ საქართველოში პოლიტიკური კულტურა სერიოზულ კრიზისშია.

ომბუდსმენის განცხადებით, საჭიროა, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დიალოგისკენ იყოს მიმართული.

ნანუაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში უმცირესობის წევრ სერგო რატიანისა და უმრავლესობის



წარმომადგენელ კობა დავითაშვილის ფიზიკური დაპირისპირების ფაქტის შეფასებები გააკეთა.

— უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დაწყებულ დიალოგს ასეთ პირობებში არანაირი ალტერნატივა არ აქვს. საჭიროა, ყველა პოლიტიკური ძალა სწორედ მოლაპარაკებებისა და დიალოგისკენ იყოს მიმართული, სამწუხაროა, რომ მსგავსი ინციდენტები გრძელდება და ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში პოლიტიკური კულტურა სერიოზულ კრიზისშია, — განაცხადა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველი ევრონესტის დელეგაციის წევრებთან შეხვედრას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ბოლო დროს მიმდინარე დაკავებებსა და პატიმართა წამების ფაქტებზე ისაუბრებს.

უჩა ნანუაშვილმა დეპუტატებს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებას სამწუხარო ფაქტი უწოდა.

სახალხო დამცველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, პროცესები მთლიანად წარიმართოს დიალოგის რეჟიმში, რომელშიც ჩართული იქნებიან საერთაშორისო პარტნიორებიც.

— დიალოგს არანაირი ალტერნატივა არა აქვს, — აცხადებს ნანუაშვილი.

როგორც ცნობილია, ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში, გადაცემა „არგუმენტებში“, უმრავლესობის წარმომადგენელ კობა დავითაშვილსა და უმცირესობის დეპუტატ სერგო რატიანს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

# დავრჩებით თუ არა რუსეთთან პირისპირ?

ნათია ხურცილავა

რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს ახალ ხელისუფლებას შორის გაყინული ურთიერთობების აღდგენის მცდელობამ არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია. პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობებში ზურაბ აბაშიძე, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში გამართავს რიგით მეორე შეხვედრას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან.

რამდენად დაჩრდილავს ასეთი შეხვედრები ჟენევის ფორმატს? დავრჩებით თუ არა რუსეთთან პირისპირ? ეს ის კითხვებია, რომლებიც აქტუალურია.

ექსპერტების დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი სხვადასხვაგვარია.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის დირექტორ გოგი ხუციშვილის განცხადებით, როგორც კი საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგი დაიწყო, მაშინვე გამკაცრდა პოზიციები ცხინვალსა და სოხუმში.

ამის შესახებ პოლიტოლოგმა ჟურნალისტებს მთავრობის კანცელარიაში განუცხადა, სადაც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ქეთევან ციხელაშვილსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის შეხვედრა გაიმართა.

— შეიძლება, ითქვას, რომ თანხვედრაა იმ პოზიციაში, რომელიც აქვთ სამოქალაქო საზოგადოებასა და რეინტეგრაციის სამინისტროს ახალ შემადგენლობას. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ მეტი კონტაქტი იყოს აფხაზებთან, ოსებთან, იყოს დიალოგის ახალი საშუალება, ამან ასევე ხელი უნდა შეუწყოს საქართველო-რუსეთს შორის მიმდინარე დიალოგს. ამ მიმართულებითაც ჯერ პირველი ნაბიჯები იდგმება, მაგრამ უკვე ჩანს, რომ პროცესები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან თუნდაც იმით, რომ როგორც კი დაიწყო საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგი, მაშინვე განმტკიცდა პოზიციები ცხინვალსა და სოხუმში, ვინაიდან მათ აქვთ ისეთი შთაბეჭდილება, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის შეიძლება რაღაც გარიგება მოხდეს, რომელიც მათზე აისახება. მოსკოვი, თავის მხრივ, ცდილობს, დაარწმუნოს ისინი, რომ ასეთი არაფერი ხდება. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არ ხდება ასეთი რამ, ჩვენ არ ვაპირებთ, აფხაზებისა და ოსების ზურგსუკან მოსკოვთან რაიმე გარიგება განვავითაროთ, — განაცხადა ხუციშვილმა.



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი ყველას მოუწოდებს, თავი შეიკავონ საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებული შენიშვნებისგან და ჯერ შედეგს შეხედონ.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნული განცხადება ჟურნალისტებთან მთავრობის კანცელარიაში გააკეთა, სადაც მან აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის კონფლიქტების თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

— ჩვენი სურვილია სამოქალაქო სექტორთან რაც შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ადრე დეფიციტი იყო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მათთვის ჩვენი საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და ჩვენ გვაინტერესებს მათი მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ ვაპირებთ, ძალიან ხშირი კომუნიკაცია გვქონდეს სამოქალაქო სექტორთან, ასევე ვაცნობთ ჩვენი უწყების რამდენიმეთვიანი საქმიანობის შედეგებს, — განაცხადა ციხელაშვილმა.

პაატა ზაქარეიშვილის მოადგილის განცხადებით, ჟენევის ფორმატთან დაკავშირებით, რომ მას ჩაენაცვლება სხვა მოლაპარაკებები რუსეთთან, ზედმეტი რისკი გადაჭარბებულია.

— მაგალითად, ჟენევის დისკუსიების ფორმატზე ვსაუბრობთ. ხშირად ხდება გადაჭარბებული მოლოდინების ან რისკების დაკავშირება ამ პროცესთან. ასევე განვიხილავთ დასავლელ პარტნიორებთან ჩვენს თანამშრომლობას არაღიარებისა და ჩართულობის მიმართულებით, რომელიც გამომდინარეობს ერთიანი საქართველოს ევროპული მომავლის ხედვიდან, დასავლური კურსიდან, რომელზეც ასევე დებატები და შენიშვნებია. მე მინდა, ყველას მოვუწოდო, თავი შეიკავონ ასეთი რიტორიკისგან და ჯერ შეხედონ შედეგს და არა მხოლოდ იმას, რაც დეკლარირებულია, — განაცხადა ციხელაშვილმა.

# სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება

ნათია ხურცილავა

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.**

შეიძლება ითქვას, კვირიკაშვილმა ასე უპასუხა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოთქმულ ბრალდებას, რომ აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენა საფრთხეს შეუქმნიდა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას, რომელიც პრეზიდენტის განცხადებით, პირდაპირ ევროპას უკავშირდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის საქართველოს მონაკვეთის 2013



წლის ბიუჯეტი 175 მილიონი დოლარია.

ეს განცხადება საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან.

ეკონომიკის მინისტრის თქმით, ჩატარდა ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა, სადაც შვიდი საკითხი განიხილეს.

როგორც გაირკვა, ყველაზე მთავარი საკითხი იყო ბაქო-თბილისი-ყარსის 2013 წლის ბიუჯეტი. მინისტრის განმარტებით, არის სამუშაო საკითხები, როგორიც არის მცირეოდენი ცვლილებები პროექტში, რაც რელიეფით არის გამოწვეული.

— არის სხვადასხვა საკითხები. ასევე, განხილული იყო ახალქალაქის სარკინიგზო სადგურის საკითხი, სადაც არის გარკვეული ცვლილებები. არანაირ შეფერხებას ადგილი არ აქვს, ჩვენ ვემზადებით ძალიან აქტიურად იმისთვის, რომ კლიმატური პირობები როგორც კი მოგვცემს საშუალებას, მუშაობა მაღალი ტემპით განახლდეს, რათა წლის ბოლომდე შესაძლებელი იყოს თურქეთის საზღვრამდე მონაკვეთზე ძირითადი სამუშაოების დასრულება. თუმცა არის კიდევ რაღაც საკითხები, გარემოს დაცვის სამინისტრო თავისი კუთხით მუშაობს, არის მიწის ნაკვეთების საკითხიც, თუმცა მთავარია ჩვენი განწყობა და ძალიან დიდი პრიორიტეტი რკინიგზის ვადებში დასრულება, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, თურქეთში თვის მეორე ნახევარში დაგეგმილია სამმხრივი საბჭოს შეხვედრა, სადაც ყველა ვადა შეთანხმდება.

# ქეთი დოლიძე: „არ დავწყნარდები, სანამ ნაციონალები ხელშეუხებლები იქნებიან!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ქეთი დოლიძესთან

***— ქალბატონო ქეთი, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით? 8 თებერვალს დაწყებული დაპირისპირება მხარეებს შორის დღემდე გრძელდება...***

— ეს არის ძალიან კარგად დაგეგმილი პროვოკაცია ნაციონალური მოძრაობისა, რომელიც ვერაფრით ვერ ეგუება წაგებას და ვერ ეგუება კატასტროფულ წაგებას. ეს არ იყო ჩვეულებრივი წაგება, მათ წააგეს მთელი საქართველო. სერგო რატიანი არის მაგალითი, ლაკმუსის ქაღალდი, როგორი ცივსისხლიანები არიან და როგორ ყველაფრისთვის მზად არიან ესენი. აქეთ ჩიორა რომ წევს, ვითომდა რამე სჭირდეს, ეს ვითომდა სახალხო პარტია, რომელსაც არანაირი რეიტინგი უცხოეთში არა აქვს და ჩქარ-ჩქარა ჩამოვარდა, იმიტომ რომ, აბა, ნახოს, ჩიორა როგორ ბრძანდება. სად იყო ეს ხალხი და საერთოდ სად იყო დასავლეთი 7 ნოემბერს?! სად იყო სახალხო პარტია, რომელიც ყველაფერს „უპრავებდა“ სააკაშვილის ხელისუფლებას 26 მაისს? სად იყვნენ, როდესაც იმედი დაარბიეს? სად იყვნენ, როდესაც გირგვლიანებს, რობაქიძეებს ხოცავდნენ? სად იყვნენ ესენი? დღეს ახლა ეს ხალხი მეუბნება, ჩიორას გაქნეული ხელი რომ მოხვდა, ამიტომ გლოვა უნდა გამოცხადდეს საქართველოში? ეს არის ცინიზმი და მეტი არაფერი. ესენი აკეთებენ ყველაფერს, რაღაცა ილუზია აქვთ, რომ კიდევ უნდა დაიბრუნონ ხელისუფლება. ესენი ხელისუფლებიდან წასულად თავს არ თვლიან. ესენი ზუსტად ისეთივე რიტორიკით ლაპარაკობენ, ისევ ისე გვიქნევენ ხელს. ე.ი. ირაკლი ღარიბაშვილი არ მოსწონთ იმის მერე, რაც 9 წელიწადი ჰყავდათ ივანე მერაბიშვილი. ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია. თვითონ პოლიციელები ამბობენ, ამოვისუნთქეთო, მოქმედი პოლიციელები. შეფასება არის ერთი, აი, იმ დასავლეთში რომ კიდევ მირჩენილები არიან ისინი, ვინც ეს ხალხი მოიყვანა, ვინც ამათ ყველაფერში ხელი შეუწყო. ვინც ყველანაირ სისაძაგლეზე, რაც 9 წლის მანძილზე ხდებოდა საქართველოში, თვალი დახუჭა, მე რატომ უნდა გავუწიო იმათ ანგარიში, მითხარით ერთი?! მე, როგორც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, ყოველთვის მოვითხოვ, რომ აღდგეს სრული სამართლიანობა.

***— და ამაში რა იგულისხმება?***

— დიახაც, უნდა წავიდეს ციხეში ის, ვინც წასასვლელია და იმუნიტეტი კი არ უნდა იცავდეს მაგათ, 60 კაცი რომ არიან გამოჭენებული პარლამენტში. ეგენი არ არიან ღირსნი, იყვნენ პარლამენტში. ისევ გაბაშვილი? ისევ დარჩიაშვილი? ისევ ჩიორა თაქთაქიშვილი? ვისაც ყველაფერ სიავეზე, ყველაფერ უბედურებაზე აქვთ ხელი მოწერილი?! რომლებსაც არასდროს წარბიც არ შესტოკებიათ, როდესაც ირინა ენუქიძე ეკრანიდან ხაოდა. ესენი უნდა სარგებლობდნენ იმუნიტეტით?! და მე რომ რამე მომივიდეს, ხვალ მოსამართლეს უნდა ვუმტკიცო, ეს რამდენად ლეგიტიმური იყო. მაპატიეთ, მაგრამ ადამიანი ყოველთვის კერძო და პირადი მაგალითით ლაპარაკობს. მე ამას წინათ ვეხუმრე ბატონ არჩილ კბილაშვილს, რომ შეგიძლიათ წამიყვანოთ და დამსვათ, ნაციონალებს რომ აქვთ საყვარელი ოკუპაციის მუზეუმი, აი, იქ შეგიძლიათ, დამსვათ ეტალონად. ეტალონად განუკითხაობის, უსამართლობის... ზუსტად 1998 წლიდან, როდესაც ესენი მოძლიერდნენ მთავრობაში, როდესაც პრაქტიკულად უკვე ესენი მართავდნენ საქართველოს, იმ წუთიდან მოყოლებული, ბრძოლის გარდა, შეურაცხყოფის გარდა, არაფერი მიმიღია ამ ქვეყანაში. ახლა მე ვალდებული ვარ, ყველაფერს გავუმკლავდე სასამართლოთი. ახლა მე მაინტერესებს, კუბლაშვილი სანამ იქნება, რა იქნება, რა შეიცვლება, მითხარით? სანამ იქნებიან იგივე მოსამართლეები, მაგალითად, ისეთი მოსამართლეები, როგორიც იყო ვინმე ზარქუა, რომლის გადაწყვეტილებაც ძალაში კი არ უნდა დარჩენილიყო, არამედ სწორედ ის ზარქუა უნდა წავიდეს ციხეში. იმის უკანონო გადაწყვეტილებები უნდა ამოსწიოს სასამართლომ. დღეს ვიღაც იქს გამომძიებელმა ის კი არ უნდა მითხრას, რომ იცით რა, სასამართლოს დადგენილების მიხედვით ვმოქმედებთ. რომელი სასამართლოსი? რომელიც კრიმინალებში იყო ჩაფლული?! აი, ამ სამართლიანობაზეა ლაპარაკი, მეტზე კი არაფერზე. ადამიანები არ დაწყნარდებიან, ვერ დაწყნარდებიან და მე მაგათთან მანდილი ჩასაგდები ნამდვილად არა მაქვს.

***— ქალბატონო ქეთი, რამდენად საშიშია ეს სიტუაცია? ჩვენ ვამბობთ, რომ ნაციონალები ყოველ წუთს მზად არიან პროვოკაციისათვის და ამაზე მიზანმიმართულად მუშაობენ.***

— ალბათ, ძალიან საშიშია და უნდა ვიყოთ ყველანი ძალიან ფრთხილად. მე ძალიან მომწონს, როგორ იქცევა ირაკლი ღარიბაშვილი, ძალიან მომწონს, როგორ იქცევა პრემიერ-მინისტრი, რომელიც ვერ გამოჰყავთ წონასწორობიდან. ამათ უნდათ, რომ გამოიყვანონ, ვერ გამოიყვანენ ივანიშვილს ესენი წონასწორობიდან. ესენი ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ წონასწორობიდან. იმიტომ რომ სერგო რატიანისნაირები არიან ყველგან. ეგენი ყველანი ცივსისხლიანები არიან, რომლებსაც დღეს რომ მისცე იარაღი, დღესვე ზუსტად იმავეს იზამენ, რაც ქნეს 7 ნოემბერს და რასაც აკეთებდნენ 26-ში. კიდევ ერთი საკითხი — 8 თებერვალს იქ უნდა მდგარიყო პირადად პრეზიდენტის დაცვა, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილება-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დეპუტატი მუშტი-კრივში იცნობა

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს პარლამენტის შესასვლელში უახლოეს მომავალში ასეთი აბრა გაჩნდება: „პარლამენტი კი არა, ტატამია, ტატამი“. ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ასეთ წარწერას ნამდვილად იმსახურებს, რადგანაც ოლიმპიურ თამაშებზე არ დატრიალებულა იმდენი მუშტი, რამდენიც ჩვენს პარლამენტში. მოქმედი პარლამენტი კი, საერთოდ, ფიზკულტურის დარბაზია. აქ 4 თუ 5 ოლიმპიური ჩემპიონია.**

როცა პარლამენტის შემადგენლობა გაირკვა, ყველამ თქვა, აქ დიდი სპორტული ორთაბრძოლები იქნებაო. ვარაუდობდნენ, რომ ჩემპიონები წარსულ დროს გაიხსენებდნენ, მაგრამ ეს ხალხი ძალიან კარგად იქცევა. 6 თებერვალს პარლამენტში დიდი გაწევ-გამოწევა შეიქმნა. ეს ალიაქოთი ზურაბ ზვიადაურის სიახლოვეს დატრიალდა. ის არც გატოკებულა, წყალს სვამდა და მითითებებს იძლეოდა, მაგრად დაჰკარით, ბიჭებოო.

ზვიადაურის რჩევა ნაციონალებმა 2 დღის შემდეგ გაითვალისწინეს. 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკის წინ მათ საჯარო ჩხუბი გამართეს, ახლა კი ამტკიცებენ, ივანიშვილმა დააბეგვინა ჩვენი თავიო. იმ დღეს გადაღებული კადრები საპირისპიროს ამტკიცებს.

იქ მომხდარს ირაკლი ღარიბაშვილი იძიებს და გამოძიებას დაველოდოთ. ახლა კი ჩვენი დეპუტატების საგმირო საქმეები გავიხსენოთ.

კომუნისტურ პარლამენტში ასეთ ამბებს ადგილი არ ჰქონია. პარტიის შერცხვენას ვინ გაბედავდა. არც ზვიადის დროს ყოფილა დიდი ცემა-ტყეპა. მაშინ პროცესები პირდაპირ ქუჩაში გადავიდა. ეს ყველაფერი კი სამოქალაქო ომით დასრულდა.

შემდეგ იყო „იმელის“ პარლამენტი. აქ ამბები ტრიალებდა, მტერს და მაწყევარს. აქ ჯგუფური ჩხუბიც ბევრჯერ მომხდარა. დიდი ცემა-ტყეპა მოჰყვა საქართველოს დსთ-ში შესვლის ამბავს. გია ბარამიძე მაშინ თავგამოდებით ამტკიცებდა, დსთ საქართველოს ჰაერივით სჭირდებაო. ეს ის გია ბარამიძეა, ახლა დსთ-ში საქართველოს შეთრევისთვის მხარდაჭერას ბალღური მიამიტობით რომ ხსნის.

1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტშიც დიდი ამბები ტრიალებდა. მაშინ ედეპე და სახალხო აქტიურობდნენ ძალიან. ურტყამდნენ როგორც ერთმანეთს, ასევე მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლებსაც. ამ ყველაფერს ერი დიდი სიხარულით ადევნებდა თვალყურს.

ყველაზე ბრძოლიანი მაინც 1999-2003 წლების მოწვევის პარლამენტი გამოდგა. აქ თავი დღევანდელმა ნაციონალებმა გამოიჩინეს. ახლა, მართალია, ფრთებს ატყლაშუნებენ, მაგრამ თავის დროზე ძალიან აგრესიულები იყვნენ. პარლამენტში კასტეტის გამოყენება საერთოდ მათ დაამკვიდრეს.

მუდმივად ნატოს სტანდარტებზე მქადაგებელი გია ბარამიძეც გვარიანად ჩხუბობდა იმ პარლამენტში. ის ეჩხუბა ნოდარ გრიგალაშვილს, რომელმაც მოქკავშირლებს ლეღვის ფოთლები უწოდა.

პარლამენტი განსაკუთრებით მას შემდეგ აირია, რაც მოქკავშირი მარტივ მამრავლებად დაიშალა. განსაკუთრებული აგრესიულობით ფრაქცია ნაციონალები გამოირჩეოდა. მათ ტოლს არც ჟვანიას გუნდი ჩამორჩებოდა. კასტეტის ამბავი ყველამ კარგად იცით და დეტალებზე არ ვისაუბრებთ. ისე კი, ურიგო არ იქნება, ნაციონალებს ხშირად შევახსენოთ ეს ამბავი, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვის აგრესიაზე საუბრობენ. ეს მეკასტეტე 2008-2012 წლების პარლამენტში უმრავლესობის ლიდერი იყო, თუმცა, ამ პერიოდში ის სანიმუშოდ იქცეოდა.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის კასტეტი აშკარად ჯადოსნური იყო. ჯერ ხომ მისი პატრონი გახდა უმრავლესობის ლიდერი და ახლა ის კაცია უმრავლესობის ლიდერი, რომელსაც ეს კასტეტი ვერაგულად ჩაარტყეს.

1999-2003 წლების მოწვევის პარლამენტში ერთი ინციდენტი დამამახსოვრდა ყველაზე ცუდად. ის ფაქტი ნათლად ასახავს ნაციონალების ბუნებას. იმ პერიოდში ახალგამოჩეკილი იყო მოძრაობა „კმარა“. კმარელები თბილისის სხვადასხვა უბნებში ასეთ წარწერებს აკეთებდნენ: „კმარა შევარდნაძე!“.

ვახტანგ რჩეულიშვილი იმჟამად „აღორძინებიდან“ შევარდნაძისკენ იყო გადახრილი. მისი ორგანიზებით ასეთი წარწერა გაკეთდა: „კმარა ცისფერობა“. ამაზე დიდი ამბები ატყდა. ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა პირობა დადო, ამას არ შევარჩენთო. წარწერა შაბათ დღეს გაჩნდა. უქმეებზე რჩეულიშვილს ვერსად „დაუპადიეზდეს“. ისინი ორშაბათს დაელოდნენ.

ორშაბათობით პარლამენტში ბიუროს სხდომები იმართებოდა ხოლმე. რჩეულიშვილი ვიცე-სპიკერი იყო და ბიუროს სხდომებს ესწრებოდა. იმ დღეს ბიუროზე მოსვლა დააგვიანდა. ნინო ბურჯანაძის მისაღებიდან დაურეკეს და უთხრეს, სასწრაფოდ მოდი ბიუროზეო. ისიც მოვიდა, მაგრამ ვინ აცალა ბიუროს ოთახში შესვლა. ბარამიძემ და მიშა მაჭავარიანმა სთხოვეს, საქმე გვაქვს და გამოგვყევიო.

შევიდნენ ერთ-ერთ ოთახში. იქ რჩეულიშვილს საქმის გასარჩევად კიდევ 6 კაცი ელოდა. 8 ადამიანმა ერთ კაცს დაუწყო ცემა, მაგრამ რჩეულიშვილს ბოდიში ვერ მოახდევინეს. ისიც საკმაოდ კარგად უსწორდებოდა დამხდურებს. მიშა მაჭავარიანმა მას საფერფლე ესროლა და თავი გადაუჩეხა. სისხლის დანახვაზე მაჭავარიანი ცუდად გახდა და გარეთ გამოვარდა.

იმ პერიოდში პარლამენტში კიდევ ბევრჯერ დააყარეს ერთმანეთს, მაგრამ ასეთი სისხლიანი სცენები აღარ ყოფილა.

არეულობა არც ვარდოსნულ პარლამენტში დაგვკლებია. აქ სეზონი დათო ბერძენიშვილმა გახსნა. მან მუშტი გაარტყა გიგა ბოკერიას, რომელმაც წინა დღეს დათოს ძმას, ლევანს, დედის გინება ესემესით გაუგზავნა.

იმავე დღეს პარლამენტში სასტიკად სცემეს დეპუტატ ლაშა ნაცვლიშვილს. მას ათი ნაციონალი დეპუტატი ურტყამდა. გასისხლიანებული ნაცვლიშვილი ბოლო ხმაზე ყვიროდა, გიგა ბოკერიას ძველბიჭობა არ გაიშვაო.



ამ ამბებიდან ძალიან მალე სასტიკად სცემეს დეპუტატ ვალერი გელაშვილს. ადამიანი, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაიმეტეს. ამ თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე დეპუტატმა სააკაშვილს სერიოზული პრეტენზიები წაუყენა. ძველმა ხელისუფლებამ ეს საქმე არ გამოიძია. ნაციონალები ახლა დეპუტატებისთვის კვერცხების სროლაზე დიდ ამბებს ატრიალებენ, გელაშვილის ცემა კი ლამის დადებით მოვლენად შეაფასეს. უფრო მეტიც, მას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყვიტეს.

მისი ცემის ფაქტი ძველმა ხელისუფლებამ არ გამოიძია. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებდა, რომ გელაშვილს არც 2012 წლის არჩევნები მოეგო. ალბათ, გახსოვთ, რა ამბები დატრიალდა არჩევნების ღამეს ხაშურში. სპეცრაზმელები საარჩევნო უბნებზე შეიჭრნენ და ბიულეტენები გაიტაცეს. გამოიყენეს მომწამლავი გაზი და რეზინის ტყვიები. ეს კადრები პირდაპირ ეთერშიც გადაიცა. შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ეკა ზღულაძემ კი თქვა, რომ ხაშურში ისეთი არაფერი ხდებოდა.

გელაშვილზე თავდასხმის გამოძიება ახლა დასასრულს უახლოვდება. ამ საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილმა უკვე მისცა ჩვენება. გელაშვილი ამბობს, რომ ყველა გზა სააკაშვილამდე მიდის.

სხვათა შორის, არც კობა დავითაშვილის ცემის ფაქტია გამოძიებული და, როცა კობას 13 თებერვლის ინციდენტზე უსაყვედურებს ვინმე, 2007 წლის 7 ნოემბერიც გაიხსენეთ.

7 ნოემბერს, დილით, პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქცია დაარბიეს. აქციის მონაწილეებმა რიყეზე გადაინაცვლეს. დავითაშვილი ელიავას ბაზრობაზე წავიდა ხმის გამაძლიერებლების საყიდლად. იქიდან კობა გაიტაცეს. მის ადგილსამყოფელს კარგა ხანს ვერავინ მიაგნო. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ სასტიკად იყო ნაცემი. ვრცელდებოდა ხმები, რომ ის დაიღუპა.

სასტიკად ნაცემი დავითაშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, საიდანაც სანიტრის დახმარებით ნინო ბურჯანაძეს დაუკავშირდა. ის სწორედ ბურჯანაძემ გადაარჩინა. იმედია, ამ საქმის გამოძიებაც მოხდება.

2008-2012 წლების პარლამენტი უფრო მშვიდი იყო. ყველაზე ხმაურიანი ჩხუბი 2011 წლის 27 სექტემბერს მოხდა. იმ დღეს აკაკი ბობოხიძემ პარლამენტის სხდომაზე დეპუტატ პეტრე მამრაძეს სახეში მუშტი გაარტყა. ამის გამო ბობოხიძე არავის დაუსჯია. არადა, ნამდვილად იმსახურებდა.

ახალ პარლამენტში, როგორც უკვე მოგახსენეთ, მრავალი ჩემპიონია. ერი სხდომებზე არეულობებს სწორედ მათგან ელოდა, მაგრამ ეს ხალხი სანიმუშოდ იქცევა. მათ ასპარეზი პოლიტიკოსებს დაუთმეს, ისინიც ჩხუბობენ. ჯერჯერობით ერთმანეთზე იწევენ მხოლოდ.

13 თებერვალს გაწევ-გამოწევა ჩხუბში გადაიზარდა. დეპუტატებმა კობა დავითაშვილმა და სერგო რატიანმა „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში ერთმანეთი გალახეს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი ამბები პარლამენტის შენობაში არ მოხდება. სხვა თუ არაფერი, შენობა ცუდად არის აშენებული და შესაძლოა, თავზე დაეფშვნათ. მართალია, განახლებული ქართული ანდაზა ამბობს, რომ დეპუტატი მუშტი-კრივში იცნობა, მაგრამ ყველა ანდაზას არ დაეჯერება.

# ვანო მერაბიშვილის დედამ სკოლის მოსწავლეებსა და დამლაგებელს სცემა

## განათლების სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო

შორენა მარსაგიშვილი

ნათქვამია, თანამდებობიდან გადამდგარ პრემიერს პრობლემა აღმართში დაეწიაო. ასე დაემართა ვანო მერაბიშვილსაც. ამ უკანასკნელს დაკითხვებზე ხშირ-ხშირად იბარებენ. ცოტა ხნის წინ მისი მეუღლე დაიბარეს დაკითხვაზე. ახლა კი შესაძლოა დედამისი ჟენია მერაბიშვილი დაკითხონ.

ჟენია მერაბიშვილი სკოლის დირექტორი გახლავთ. რამდენიმე წლის წინ ის საუკეთესო სკოლის დირექტორად დაასახელეს. ახლა კი ჟენია მერაბიშვილს სკოლის მოსწავლეების ცემაში სდებენ ბრალს.

გამოცემა „სამხრეთის კარიბჭის“ ინფორმაციით, 13 თებერვალს ჟენია მერაბიშვილმა გუშინ, დილით, სკოლაში დაგვიანების გამო, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გოგონა თმით ითრია, მისი ორი თანაკლასელი კი ქოლგით სცემა. მანამდე კი ხელფასის დაკლების გამო უკმაყოფილო დამლაგებელი საკუთარ კაბინეტში დაიბარა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ბოლოს ხელითაც შეეხო.

როგორც ჟურნალისტი თამუნა უჩიძე წერს, ამბის გასარკვევად სკოლაში მისულებს არავინ დაელაპარაკა.

– ათობით გამოკითხულმა მოსწავლემ მომხდარის შესახებ უარყო. ფაქტი არ დაადასტურეს არც მანდატურებმა. რადგან სამასწავლებლოში ასვლის ნება არ დაგვრთეს, რამდენიმე პედაგოგი ჩვენთან შესახვედრად პირველ სართულზე ჩამოვიდა.

„ჩვენი თვალით არაფერი გვინახავს, ვერაფერს გეტყვით“, – გვითხრეს მათ, – წერს უჩიძე.

რედაქციაში დაბრუნებისას „სამხრეთის კარიბჭეს“ ცხელ ხაზზე უცნობი პირი დაუკავშირდა. მან ნაცემი მოსწავლეების და ნაცემი დამლაგებლის შესახებ ისაუბრა..

– უცნობი რესპონდენტის განცხადებით, დირექტორმა თმით ითრია მეთერთმეტე კლასის მოსწავლე (სახელები შეცვლილია „ს.კ“) ნინო ბერიძე, ნათია კაპანაძე და გიორგი მაისურაძე კი ქოლგით სცემა. გოგონას დედამ, რომელიც დირექტორმა თმით ითრია, პრესასთან დუმილი ამჯობინა. მომხდარის შესახებ ვერ უარყო და გვითხრა: „მეშინია, ვერაფერს გეტყვით, იმას ჰკითხეთ, ვისაც გამბედაობა ეყოფა და ამ ყველაფერს მოგიყვებათ“. ის, რომ დირექტორმა მისი თანაკლასელები სცემა, გიორგი მაისურაძემაც დაგვიდასტურა. „ნინოს თმა ჰქონდა გაშლილი, ამიტომაც თმაში სწვდა. ნათიაც ატირებული შემოვიდა გაკვეთილზე, უცემია. მე მხოლოდ შენიშვნა მომცა, სხვა დროს აღარ დაიგვიანოო“, – ამბობს მასურაძე. თუმცა, მისი თანაკლასელის ნათია კაპანაძის თქმით, ქოლგა გიორგისაც მოხვდა. როგორც ნათია გვიყვება, დირექტორი იმიტომ გაბრაზდა, რომ ბავშვებს სკოლაში დააგვიანდათ. „2 წუთის დარეკილი იყო ზარი, რომ შევედით მე და გიორგი. ყვირილის ხმა გავიგონეთ მეორე სართულიდან და შევჩერდით, არ გვინდოდა ხელში ჩვენც შევრჩენოდით, მაგრამ ამ დროს უკნიდან მანდატური მოგვადგა და გვითხრა, სასწაფოდ ზემოთ ავსულიყავით. რომ ავედით, 4 ბავშვი უკვე დირექტორს კაბინეტ-





ში ჰყავდა შეყვანილი, ჩვენც შეგვიყვანა, დაგვამწკრივა ერთ მეექვსე კლასელს ქოლგა გამოართვა და ის გვირტყა“, – გვიყვება ნათია კაპანაძე. ერთ-ერთი პედაგოგის თქმით, რომელიც ამ ამბის მომსწრე იყო, ნათიას ტირილისგან ისტერიკა დაემართა, – წერს „სამხრეთის კარიბჭე“.

მასწავლებლის თქმით: „„ბავშვს ველარ ვაწყნარებდით. თქვა, რომ სკოლიდან წავიდოდა. სკოლიდან წასვლით დაიმუქრა ის გოგონაც, რომელიც თმით ითრია, ორივე მხრიდან რომ ჩაწვდომია თმაში, ისე უთრევია, რომ ლამინატი მოუპრიალებია“.

„სამხრეთის კარიბჭის“ ცნობით, მომხდარის შესახებ განცხადების დაწერა მხოლოდ ნათია კაპანაძის მშობელმა სცადა.

– ძალიან ვთხოვე დედას, რომ თავი შეეკავებინა, რადგან ჩვენს გარდა ხმას არავინ იღებდა. სკოლიდან ჟენიას მოშორება ყველას უნდა, მაგრამ ამის გაკეთებას ყველა მხოლოდ ჩვენით ცდილობს. თუ დედა ამოიღებდა ხმას, მაშინ ყველას მშობელი გვერდით უნდა დაგვდგომოდა, მაგრამ ეს არც სხვა მშობლებმა და არც რომელიმე მასწავლებელმა გააკეთა. ამიტომ ჩვენც დუმილი ვარჩიეთ. მანდატურმა ჩემს თვალწინ დაურეკა თავის უფროსს, მომხდარის შესახებ უთხრა, მაგრამ არ ვიცი მიიღებენ თუ არა რაიმე ზომას. ასე სკოლაში ხშირად ხდება, თუ ცუდ ხასიათზეა დირექტორი, იმას სცემს ვინც ხელში მოყვება, – აცხადებს „სამხრეთის კარიბჭესთან“ საუბარში ნაცემი ბავშვი.

„სამხრეთის კარიბჭემ“ ჟენია მერაბიშვილს კომენტარის ჩასაწერად სახლში მიაკითხა. მან სკოლაში ჟურნალისტების ყოფნის შესახებ უკვე იცოდა.

– ბავშვს თმაზე ხელი მოვკიდე, დაგვიანება შეიძლება მეთქი?! სულ ეს იყო და ასეთი ამბავი უნდა ატეხოთ?! აღშფოთებული ვარ თქვენით, – ასეთი საყვედურით დახვდა მერაბიშვილის დედა ჟურნალისტებს.

მან დამლაგებლის ცემის ფაქტიც უარყო. ამბობს, რომ ისაა დაზარალებული, რადგანაც დამლაგებელს დაუწყევლია მაგან არ გაიხაროსო.

განათლების სამინისტრომ ამ ფაქტის გამოძიება უკვე დაიწყო. ვნახოთ რითი დასრულდება ეს ამბავი. ასევე საინტერესო იქნება როგორ შეაფასებენ ამ ამბავს ნაციონალები.

# გივი თარგამაძეზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა

შორენა მარსაგიშვილი

**ქართველი ჩე გევარა გივი თარგამაძე ძებნაშია. გივი ვასილიჩზე ძებნა რუსეთის ფედერაციამ გამოაცხადა. ოფიციალური მოსკოვი ჩვენებურს კარგა ხანია ემტერება. ამ დღეებში კი ის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მასობრივი არეულობის მომზადების საქმეში ბრალდებულად მიიჩნიეს.**

„რია ნოვოსტის“ წყაროს ცნობით, თარგამაძე არეულობას რუს ოპოზიციონერებთან: სერგეი უდალცოვთან, კონსტანტინ ლებედევსა და ლეონიდ რაზვოზჟაევთან ერთად აპირებდა.

– თარგამაძეზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. გამომძიებლები უახლოეს პერიოდში სასამართლოს მისი დაუსწრებლად დაპატიმრების შუამდგომლობით მიმართავენ. რუსეთის საგარეო უწყებიდან მივიღეთ ოფიციალური პასუხი, რომ თარგამაძე არ სარგებლობს რაიმე სახის იმუნიტეტით სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, – განაცხადა ვლადიმირ მარკინმა.

მისი ინფორმაციით, გამოძიებას აქვს სამხილები, რომლებიც ადასტურებს როგორც თარგამაძის მიერ რუსული ოპოზიციის დაფინანსებას, ისე მოსკოვში 2012 წლის 6 მაისს ბოლოტნაიას მოედანზე მასობრივ არეულობაში მის მონაწილეობას.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ თარგამაძეს რუსეთს არ გადასცემს, რადგან ამას ქვეყნის კონსტიტუცია კრძალავს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრს გიორგი ბარამიძეს ეამაყება, თუ ჰყავს ისეთი თანამებრძოლი, რომელიც პუტინის სისხლიანი რეჟიმის შესაცვლელად მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

– მე მეამაყება, თუ მყავს ისეთი თანამებრძოლი, რომელიც კანონის ფარგლებში რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის მხარდასაჭერად და პუტინის სისხლიანი რეჟიმის შესაცვლელად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რაც შეეხება ამ შეთითხნილ ბრალდებას, მე მიმაჩნია, რომ პუტინის პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისა და მიხეილ სააკაშვილის გუნდის წინააღმდეგ გრძელდება, ბრალდება რა თქმა უნდა, სასაცილოა, – განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

ჩვენებური ჩე გევარა ბევრ ქვეყანაში ცდილობდა ფერადი რევოლუციების მოწყობას. უკრაინაში ეს ამბავი კარგად გამოუვიდა. ყირგიზეთში და ბელორუსში ჩაფლავდა.

ყველაზე ცუდად რუსეთში წაუვიდა საქმე. რუსეთმა მის წინააღმდეგ საქმე აღძრა და ძებნასაც გამოაცხადებს. შეუძლიათ ეძებონ. საქართველო რუსეთს გივი თარგამაძეს არავითარ შემთხვევაში არ გადასცემს.

# ჯუმბერ მილორავა: „ციხის ბუნტის მსვლელობას ახალაია თავადვე იღებდა ვიდეოკამერით“

თამარ ნინიძე

ნაცმოძრაობა ცდილობს, ბაჩო ახალაია უდანაშაულოდ დაპატიმრებულად წარმოაჩინოს, მაგრამ გრძელდება პროკურატურის მიერ გამოძიება და მამხილებელი მასალების შეგროვება, 2006 წლის 27 მარტის ბუნტის დროს დაზარალებული პატიმარი იოსებ ჩარგაზია ვერც იმ ბუნტის შემდეგ გააჩუმეს და ახლაც მზად არის, სასამართლოს წინაშე წარდგეს და მისცეს ჩვენება. „ახალი თაობა“ იოსებ ჩარგაზიას ადვოკატს ჯუმბერ მილორავას ესაუბრა.

– ჩვენი ინფორმაციით, არიან რეალური მოწმეები, პატიმრები, რომლებიც ციხის ბუნტის დროს 27 მარტს ბაჩო ახალაიას ადებენ ხელს, როგორც ამ ბუნტის ორგანიზატორს. თქვენ ერთ-ერთი ასეთი პატიმრის ინტერესებს იცავთ, იქნებ გვიამბოთ კონკრეტულად რა ფაქტებზეა საუბარი მის ჩვენებაში?

– მე ნებისმიერ ციხეში შემეძლო შესვლა და პატიმრის ნაამბობიდან გამომდინარე სამართლებრივი რეაგირება, თუ, რა თქმა უნდა, პატიმრის სურვილი და ნება იქნებოდა. ასევე მიმეწვდინა ხმა იმ ორგანოებისთვის, რომელთა კომპეტენციაში იყო რეაგირება. ერთ-ერთი პიროვნება არის იოსებ ჩარგაზია, რომელიც იმ პერიოდში ბუნტის შემსწრეა, მოხდა იმ ბუნტის ინსცენირება, ფსიქოლოგიური დემონსტრირება იყო იმისა, მოსახლეობის მიმართ, რომ ხელისუფლება აბსოლუტურად ფლობს ვითარებას. არის კონტროლი მედიაზე და ციხეზე, რათა ზოგადად მოსახლეობა იყოს დათრგუნული და დამორჩილებული. ბუნტის დროს უამრავი უდანაშაულო პატიმარი გარდაიცვალა და დაინვალიდდა. ბაჩო ახალაია ფიგურირებს იმ დოზით და იმ პარამეტრებით, უშუალოდ მისი მითითებით ხდებოდა ძალადობა პატიმრების მიმართ. ამ ინსცენირებული ბუნტის მსვლელობას ახალაია თავადვე იღებდა საკუთარი ვიდეოკამერით.

– გასაგებია, რომ ეს ადამიანი არის მოწმე, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, ის მზად არის, რომ გამოვიდეს სასამართლოზე და მისცეს ჩვენება ბაჩო ახალაიას წინააღდმეგ?

– რა თქმა უნდა, ამ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, დაიკითხა ის მოწმის სახით, ის წერს ჩვენებაში, რომ 2006 წელს იმ ბუნტის დროს ორთაჭალის ციხის სიახლოვეს იყო ძველი ციხე, სადაც იყო სამკურნალო დაწესებულება, იქ ხდებოდა კანონიერ ქურდებზე ფიზიკური ზემოქმედება, იქიდან რომ წამოვიდა ხმაური, რომ მიმდინარეობდა მათზე ფიზიკური ზეწოლა, ორთაჭალის ციხეში გაიგეს ხმაური პატიმრებმა და დემონსტრირება ხდებოდა მხარდაჭერისა ხმაურით და შეძახილებით. სწორედ ეს გამოიყენა საბაბად



პოლიტიკურმა ხელისუფლებამ, დაავალა სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექციას და თავად ბაჩო ახალაიას მოეხდინათ ურჩ პატიმრებზე ზემოქმედება და ანგარიშსწორება. 2006 წლის 27 მარტს იოსებ ჩარქაზია იმყოფებოდა საკანში, ის ამბობს, რომ საკნის კარი არ გაღებულა, საკნები პატიმრებს არ გაუტეხიათ, ე.წ. კარმუშკებიდან შეყოფილი იყო იარაღი და ისროდნენ, პირდაპირ უმისამართოდ, ბრმად ვისაც მოხვდებოდა, ჩარგაზია დაიჭრა ფეხში აკმ-ს სისტემის ტყვიით, პატიმარი არსენა ბუხრაშვილი ამ სროლების დროს გარდაიცვალა, მე დავინტერესდი ეს მართლა ასე მოხდა თუ არა, რუსთავის მეექვსე დაწესებულებაში ვნახე პატიმარი, რომელსაც უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი, გვარად პეტრიაშვილი, რომელმაც დაადასტურა, რომ ბუხრაშვილი მას ხელში ჩააკვდა, სისხლისგან დაიცალა, ბუნტის დროს პეტრიაშვილიც იმ საკანში იყო, ჩარგაზიასთან დ ბუხრაშვილთან ერთად, თავის არეში დაიჭრა პატიმარი კვარაცხელია, პატიმარი გოგავაც დაიჭრა, ახალაიამ დაყარა იარაღი და ინსცენირება მოახდინა, რომ ციხეში საიდანღაც შევიდა ეს იარაღი, და პატიმრები აპირებდნენ ციხის აღებას. სამოცდამეთორმეტე საკანთან ყრიდნენ ამ იარაღს და თან ვიდეოკამერით იღებდნენ ამას ახალაია და სხვა ოფიცრები. ჩარგაზიას აიძულებდნენ, ელაპარაკა ის, რაც მათ უნდოდათ, მასზე ძალადობდა ასევე ციხის ექიმი, სავალალოა, რომ ამას ექიმი სჩადის და შემაძრწუნებელია, ასევე ციხის უფროსი, ოფიცრები.

– ამ ზემოქმედების შედეგად მიიღეს მისგან სასურველი ჩვენება, რომელიც მათ სურდათ?

– ვერ გატეხეს, არ შეუცვლია პირვანდელი ჩვენება, იმდენი თვითდაზიანება მიიღო, რომ ვერაფერი მოუხერხეს, ბევრმა ამას ვერ გაუძლო, ჩარგაზიამ რამდენჯერმე თვითმკვლელობაც სცადა, ერთხელ თერმომეტრიც გადაყლაპა, წარმოგიდგენიათ, რა მდგომარეობამდე მიიყვანეს. ის ძალიან დიდხანს წერდა საჩივრებს, მას ვერ აჩერებდნენ, მაშინ მოგეხსენებათ ძნელი იყო რაიმის მიღწევა, მაგრამ ის მაინც არ ჩერდებოდა, სახალხო დამცველის წარმომადგენლებიც როცა შედიოდნენ მასთან, ურჩევდნენ, რომ უკან წაეღო თავისი ჩვენება და გაჩუმებულიყო.

– ეს სერიოზული ბრალდებებია ახალაიას წინააღმდეგ და მთავარია ამ ადამიანს ბოლომდე ეყოს გამბედაობა და დაადასტუროს ეს უმძიმესი ბრალდება სასამართლოზეც, ამ დროს ახალაის მეგობრები ნაცმოძრაობიდან ქილიკობენ, რომ პროკურატურამ ის ხილის გათლის გამო დააპატიმრა.

– ის წერდა, როგორ იღებდნენ მათივე ხელით დაგდებულ იარაღს და ამას იღებდნენ ვიდეოკამერით მერაბ ბაღათურია და სხვა ოფიცრები. ისე აწამებდნენ და ცემდნენ ლამის გაგიჟებამდე მიიყვანეს. მეგის ქარდავაც ფიგურირებს ამ საქმეში და ის ასევე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა ჩარგაზიას, რომ პატიმარს ჩვენება შეეცვალა. ერთ-ერთი ექიმი დავით ასათიანი პირდაპირ ეუბნებოდა ამ პატიმარს, როცა მან დაჩირქებული ფეხი აჩვენა, თუ სამკურნალო დაწესებულებაში დარჩენა გინდა, ჩვენება შეცვალე, თან ორასი დოლარიც მომეციო, ეუბნებოდა.

– ამ პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობა შესწავლილია? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მერე სასამართლოზე ახალაიას ადვოკატმა არ დააბრალოს, გიჟია და სისულელეებს ყვებაო.

– არა, ბაჩო ახალაია და მისი ხელქვეითები ცდილობდნენ, ის ფსიქიკურად დაავადებულად შეერაცხათ, მხოლოდ იმიტომ ვერ მოახერხეს მისი ფიზიკური ლიკვიდაცია, რომ მისი საქმე უკვე რეზონანსული იყო და მას უამრავი საჩივარი უკვე გარეთ ჰქონდა გადაგზავნილი. უამრავი თვითმხილველი იმ ბუნტისა დღეს ცოცხალი აღარ არის. არა აქვს მნიშვნელობა, სასხლეტს ვინ გამოკრავს ხელს, მთავარია, ვინ იძლევა ბრძანებას. ციხის ბუნტის საქმის გამოძიებას მსვლელობა მიცემული აქვს, მიმდინარეობს ყველა მტკიცებულების შეგროვება, ახალაიას მიმართ იქნება სხვა ეპიზოდებიც. ციხის ბუნტი ერთი მნიშვნელოვანი რგოლია მთელი ამ ჯაჭვისა. იმ მოწმეებს იშორებდნენ, ვისაც შეეძლო ამ საქმეზე რაიმე ინფორმაცია მიეწოდებინა გამოძიებისთვის. მე მიმაჩნია, რომ ჩარგაზია არა მარტო მოწმე, არამედ დაზარალებულიც არის. საზოგადოებამ უნდ იცოდეს, რასთან ჰქონდა საქმე.

– თქვენი როგორც ადვოკატის აზრი მაინტერესებს, საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საინტერესო პიროვნებების სასამართლო პროცესები ტელევიზიით სრულად უნდა გადაიცეს თუ არა, კოტე კუბლაშვილი ამის წინააღმდეგია?

– კარგი კითხვა დასვით. ის, რაც კუბლაშვილს უნდა, საზოგადოებას არ უნდა. კუბლაშვილი ხელს აფარებს დამნაშავეებს, ის იმ პოლიტიკური ხელისუფლების ნაწილია, ვის პერიოდშიც ხდებოდა ასეთი ამაზრზენი დანაშაულობები, ამიტომ მის ინტერესებში არ შედის, რომ ობიექტური სასამართლო პროცესები საჯარო გახდეს. მე მომხრე ვარ, რომ ეს სასამართლო საჯარო იყოს, ყველამ უნდა იცოდეს რეალური სურათი, თუ რა ხდებოდა როგორც ციხეებში, ისე ციხის გარეთ. პატიმარი არ უნდა იყოს ჩამოწერილი საზოგადოებისგან, ის რომ მოიხდის სასჯელს, შეიძლება ჩემზე და ნებისმიერ სხვა ადამიანზე ღირსეული ადამიანი გახდეს მომავალში. ამ ღია პროცესებს ყველა ჟურნალისტი უნდა დაესწროს.

– საზოგადოება უფრო ეფექტურ მუშაობას ელოდება პროკურატურისგან არის კრიტიკა იმის გამო, რომ გამოძიებები ნელა მიმდინარეობს.

– მესმის თქვენი, მეც მაქვს პროტესტი, რომ პროკურატურასა და სასამართლოში არიან დარჩენილი ის ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ სააკაშვილის რეჟიმის დროს და შეიძლება საბოტაჟის ნიშნებიც იყოს, ეს პირები დროულად უნდა ჩამოცილდნენ სისტემას. ხალხის სამსახურში თუ არ ჩადგება ხელისუფლება, ის დაკარგავს ნდობას.

# ქეთი დოლიძე: „არ დავწყნარდები, სანამ ნაციონალები ხელშეუხებლები იქნებიან!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

შია. თავიდან ბოლომდე მას აკონტროლებს პრეზიდენტი. სად იყო ამ დროს მისი დაცვა? მაინტერესებს, სად იყო დაცვის სამსახური?! პოლიცია კი არა, რომელიც ისედაც ორჯერ მივიდა, ვიდრე უნდა მისულიყო. სწორედ სახელმწიფო დაცვას უნდა უზრუნველეყო ეს. ეს ხომ არის უდიდესი პროვოკატორი. ალბათ, ჩიორას ცხვირზე სისხლს რომ ხედავდა სააკაშვილი, სიამოვნებისგან ხორხოცებდა, იმიტომ რომ იქ ერთი ათი თავი რომ გატეხილიყო თავისივე გუნდის წევრის, იქნებოდა ბედნიერი, უფრო მეტს იყვირებდა თავისი მხარდამჭერების გასაგონად, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ დასავლეთში.

*– 8 თებერვლის „წარმატება“ უგულავასა და მისი გუნდის წევრებს რესტორანში აღუნიშნავთ. ფეისბუქზე დაიდო ფოტოები, სადაც მათი დროსტარებაა აღბეჭდილი.*

– რატომაც არა. თბილისი რამდენი ხანია ითმენს, რომ ასეთი მერი ჰყავს. უკვე რამდენი ფოტო დაიდო მისი აღვირახსნილი ცხოვრებისა. მაპატიეთ და მკერდში რომ უტენის სტრიპტიზბარში ქალს ასდოლარიანებს. ეს რა არის, გეკითხებით მე თქვენ?! ახლა მე მაინტერესებს, ნებისმიერ ქვეყანაში ეს არ იქნებოდა მერის გადადგომის და პრეზიდენტის იმპიჩმენტის მიზეზი?! მე პოლიტიკაში ვერ ვერევი, მაგრამ ოქტომბრამდე ამათ პოლიტკორექტულობას და ამათ საქციელს რა მოითმენს, რა მოითმენს იმას, რასაც ესენი ჩადიან. ეს ყველაფერი მიდის მიზანმიმართულად და ამას უნდა ძალიან სერიოზული გამკლავება. რაღაცა სერიოზული სტრატეგია უნდა შეიმუშაოს „ქართულმა ოცნებამ“ და საერთოდ კოალიციამ. ჩამოაქანებენ უცებ ამ სახალხო პარტიის წარმომადგენლებს. ვინ არიან ან რა რეიტინგი აქვთ? მიუყვანეს ჩიორას. მაინტერესებს, რატომ იწვა? ლოგინშიც კი არ იწვა, ტახტზე იყო წამოგორებული, იმიტომ რომ გაიგეს, უნდა მისულიყო და სასწრაფოდ დააწვინეს ზეწრისა და ყველაფრის გარეშე. ქალბატონმა ჩიორამ დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს, რომელ საქართველოს? რომელსაც დასანახავად ეზიზღება?! ჩიორას რომ ცხვირში მოხვდა, ხალხი ნეტარებით აღარ იყო, ნახეთ, რაები იწერებოდა სოციალურ ქსელებზე. ეს რა არის, იცით? – გამწარებული ხალხის რევანში. ამისი არ ეშინიათ? თქვენ ხომ არ გგონიათ, რომელიმე მთავრობას მოუსმენს გამწარებული ხალხი! ვეღარ მოუსმენენ, თუ ეს უსამართლობა გაგრძელდა და ამ ტუტუცებმა ასე იყელყელავეს.

*– სწორედ ეს უნდათ, რომ სიტუაცია მართვიდან გამოვიდეს. ქალბატონო ქეთი, რამდენად ვართ სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე?*

– არ ვიცი. სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე არ უნდა ვიყოთ არავითარ შემთხვევაში. მე მოვუწოდებ ირაკლი ღარიბაშვილს, თუმცა, მას ჩემი მოწოდება ნამდვილად არ სჭირდება, რომ ყოველი ეს მცდელობა სასტიკად აღკვეთოს. აქედანაც და იქიდანაც, იქიდან – განსაკუთრებით. პოლიცია არ იყო იქო, პოლიცია ნაკლებად გაიჭყლიტა, ვიდრე ადამიანები, რომლებიც აწვებოდნენ აქედან და იქიდან? პოლიცია იდგა შუაში, აბა, ვინ იდგა?! უგულავას ეს თეატრალური მოსვლა, რუსებს აქვთ გამოთქმა: „აქტიორი სპაგარელავა ტეატრა“, ზუსტად ეგრე ჩაწერეთ, აი, ეგ არის აქტიორ აქტიორიჩი, რუსები რომ იტყვიან. წავიდეს და თავის ცოლთან ერთად გაიაროს სამსახიობო კურსები, იმ მსახიობებთან, რომლებიც მაგათ მხარს უჭერდნენ. იქნებ ასწავლონ, როგორ უნდა თამაში.

*– ის, ვინც ჩიორა თაქთაქიშვილს გაარტყა, ყოფილი პოლიციელიაო. ესეც შეგნებულად დაგეგმილი პროვოკაცია ხომ არ იყო?*

– ალბათ, მე რა ვიცი. საერთოდ რა უნდოდა იქ ყოფილ პოლიციელს, დაჩაგრული იყო თუ რა, იყო ვერ გავიგე. მით უმეტეს არა აქვს უფლება და მით უმეტეს დასაჭერია. ნამდვილად არის დასაჭერი. პროვოკაციას რომ აჰყვა და ქალს რომ დაარტყა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, დასაჭერია ნამდვილად. ორივე მხარეზე მუშაობს ერთად თუ რას ნიშნავს ეს? ქალს რომ ურტყამდა, რას ფიქრობდა?! ოცნების წინააღმდეგ რომ იმუშავებდა, ეს არ იცოდა?! რას ურტყამდა, რომ ურტყამდა?!

*– რამდენად შესაძლებელია მხარეებს შორის კოაბიტაცია, რომელიც ასე ატაცებული აქვს ნაციონალურ მოძრაობას?*

– არა, ვერ ვიტან მაგ სიტყვას. მე პირადად არა ვარ მაგის მომხრე, რამდენიც არ უნდა მელაპარაკოს ყველაზე მაღალმა ჩინოსანმა ევროპიდან. მე ამათ არ შევურიგდები. არ შევიმჩნევ, მაგრამ მე ამათ ვერ შევურიგდები. სანამ გირგვლიანის მკვლელები, იმედის დამრბევები, სანამ ზურა ჟვანიას მკვლელები, სანამდე ყველანი ესენი არ დაისჯებიან, მე ამათთან არ მინდა არანაირი თანაცხოვრება. მე არ მაინტერესებს ეს. მე მაინტერესებს, ვინ მისცა ამათ 60 ადგილი პარლამენტში. ვინ მისცა, ვინ?! რატომ დარბოდნენ ასე გიჟებივით ელჩები, მითხარით! 60 კაცი როგორ უნდა იჯდეს პარლამენტში და თანაც ეს სამოცივე არის ყველაფერზე ხელის მომწერი, რაც ხდებოდა საქართველოში ამ 9 წლის განმავლობაში. და ესენი არიან ოპოზიცია? რა ოპოზიცია არიან ესენი. ესენი ოპოზიცია კი არა, დაუძინებელი მტრები არიან საქართველოსი. ვინ დააბრალა მაგათ ოპოზიციონერობა?! ძალიან მწყდება გული, რომ სხვა პარტიები არ არიან პარლამენტში. აი, ეს უნდა გაეკეთებინათ სხვა პარტიებს, რომ როგორმე პარლამენტში მოხვედრილიყვნენ, ისე, როგორც ოპოზიცია. რაღაც არ მომწონს მე ეს განლაგება, აქეთ კოალიცია და უცებ ესენი აღმოჩნდნენ ვითომდა დაჩაგრულები. რომელი დაჩაგრულები, ვერ ხედავთ, ესენი იქცევიან, როგორც ხელისუფლება, ისეთივე უზურპატორული ლოზუნგები აქვთ. ვინ არის დაჩაგრული, გოკა გაბაშვილი? ახლა რასაც გოკა გაბაშვილზე გეტყვით, არ ამოშალოთ – გოკა გაბაშვილს 7 ნოემბერს რომ დავურეკე, თეატრალურ ინსტიტუტში ყველა ჩემი სტუდენტი მოიწამლა და გააჩერეთ ეს უბედურება, რას აკეთებთმეთქი, ამაზე მომთხოვა, გამობრძანდით ახლა ტელევიზიით, დაგმეთ და რუსეთის მტრებად შერაცხეთ ესენიო. რას მელაპარაკები, ამას მე როგორ მიბედავ-მეთქი, ვუთხარი, ვინ უნდა დავგმო-მეთქი. ორი წუთის მერე მომდის მესიჯი – ჩემთან დარეკვა აღარ გაბედოთ, თუ რუსეთის შეთქმულებაში გსურთ მონაწილეობა, თქვენს თავს მოჰკითხეთ. 7 ნოემბერს გამომიგზავნა ეს გოკა გაბაშვილმა და დღესაც ჩემს ტელეფონში მაქვს დამახსოვრებული ეს შეტყობინება.



*– ამბობენ, რომ ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?*

– არავითარი საპარლამენტო, უნდა გადადგეს პრეზიდენტი, მორჩა და გათავდა! ჩემი პოზიცია ასეთია, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს აუცილებლად. მისი ოჯახი რომ უყურებს ამხელა ზიზღს მის მიმართ, რას ფიქრობენ, რას? უფრთხილდებიან 8-მილიონიან ქონებას, რომელიც აჩუქეს გიული ალასანიას. ამ ხალხს საერთოდ რაზე უნდა ელაპარაკო, თქვენ წარსულზე ლაპარაკობთო, კობა დავითაშვილს რომ ეუბნებოდა სერგო რატიანი, რომელი მე-19 საუკუნე ჰქონდა მხედველობაში და რომელ წარსულზე მელაპარაკებოდა ის მე. რომელ წარსულზე, გუშინწინ რომ მოკლეს ბიჭი?! 2007 წელი წარსულია?! ე.ი. ეგენი ხელშეუხებლები არიან?! ძალიან მაინტერესებს, ვინ მისცა მაგათ ხელშეუხებლობის გარანტია. არ დავწყნარდები არასდროს, სანამ ეგენი იქნებიან ხელშეუხებლები. როგორ ცინიკურად იჯდა გუშინ ეგ ცივსისხლიანი კაცი ეგა. დავალება აქვთ ეგეთი, ზომბები არიან, ნამდვილი ნაციონალი ზომბები! აბა, ადამიანს ჰგავდა ის რატიანი გუშინ?! მძიმე ვითარებაა, მაგრამ ამას მოვლა უნდა, დაწყნარება უნდა და ნერვის აშლა არ უნდა. უბრალოდ, უნდა მოეთხოვოთ პასუხი ყველა იმ მხეცობაზე, რომელიც მათ ჩაიდინეს. მორჩა და გათავდა. არ მიბრძანდება უგულავა პოლიციაში? აიღონ და ძალით მიიყვანონ. ვინ არის, რითია სხვაზე უკეთესი?! რა სტატუსი აქვს? რა საქმეები აქვს? ვერ მოხვეტა ჯერ საკმარისი ფულები და ეს საქმეები აქვს, არა?! ასწიოს თავისი გასიებული ტანი, რომელსაც დიეტაც ვეღარ მოერია და მიბრძანდეს იქ, სადაც ყველა თავისი ფეხით მიდის! ერთს გეტყვით საუბრის ბოლოს: მაგათ რომ მოვუგოთ, აბსოლუტურად სხვა ტაქტიკაა საჭირო. განდიმ რით მოიგო? საერთოდ არ პასუხობდა ძალადობას. სრული იგნორირება. მოვუწოდოთ ხალხს და დაიწყოს აბსოლუტურად მდუმარე აქციები ამათ წინააღმდეგ. არავითარ შემთხვევაში ამათზე ხელი არ უნდა გაისვაროს კაცმა. ამათ რომ ხელი შეახო, შენც უნდა დაბინძურდე, ისეთი ბინძურები არიან. ჩვენი მდუმარებით ვაიძულოთ, წავიდნენ იქ, საიდანაც მოვიდნენ. აი, ეს იქნებოდა ყველაზე სწორი გამოსავალი. ამათზე კაცმა ხელი არ უნდა გაისვაროს.

# ეკა ბესელია: „დავითაშვილის ლოყა და ჩიორას ცხვირი დაცული უნდა იყოს!“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ეკა ბესელიას განცხადებით, კობა დავითაშვილის ლოყაც და ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიც კანონით უნდა იყოს დაცული.

ამის შესახებ ბესელიამ გუშინწინ ტელეკომპანია ,,მაესტროს" პირდაპირ ეთერში მომხდარი ინციდენტის შეფასებისას განაცხადა.

,,როდესაც დეპუტატი რატიანი ვნახეთ, როგორ სცემდა მოქალაქეს, როგორ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა კოლეგას დეპუტატ დავითაშვილს, მე ეს მიმაჩნია კანონდარღვევად და ამ ფაქტს სჭირდება სამართლებრივი რეაგირება. არ მგონია, რატიანი იყოს იმ ადამიანთა რიცხვში, რომლებიც თავს კანონზე მაღლა აყენებენ. რატიანის მხრიდან ბოდიშის მოხდა არ არის ინდულგენცია იმისთვის, რომ კანონდამრღვევმა კანონის წინაშე პასუხი არ აგოს. მიმაჩნია, რომ კობა დავითაშვილის ლოყაც და ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიც კანონით ერთნაირად დაცული უნდა იყოს", - აცხადებს ეკა ბესელია.

**მედიანიუსი**

# „კომპანია ნატახტარი 2008 წლიდან ახალი შრომის კოდექსის პრინციპების გათვალისწინებით მუშაობს“

შრომის კოდექსში ცვლილებების პაკეტით, სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში 41 საათი იქნება, ზეგანაკვეთურად ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო. დამსაქმებელს დასაქმებულის დაუსაბუთებლად გათავისუფლება არ შეეძლება და ვალდებული იქნება 30 დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წერილობით.

საქართველოს შრომის კოდექსში შესატან აღნიშნულ ცვლილებებსა და მის მნიშვნელობაზე გვესაუბრება კომპანია „ნატახტარის“ პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი **ხათუნა ჩხაიძე**

***– რამდენად მნიშვნელოვანია შრომის კოდექსში არსებული ცვლილებები და რამდენად დაცულია ამ ცვლილებების ფონზე დამსაქმებლის ინტერესები?***

– ჩემი პოზიციაა, რომ შრომის სამართლიანი კანონმდებლობა, ანუ კანონმდებლობა რომელიც არ ამძიმებს, არც დამსაქმებელთა და არც დაქირავებულთა პირობებს, მომგებიანია ორივე მხარისათვის. როგორც დამსაქმებლის, ჩვენი კომპანიის მიდგომაა – შევუქმნათ თანამშრომლებს საუკეთესო პირობები, რადგან კმაყოფილი თანამშრომელი არის უფრო ერთგული, ნაყოფიერი და მოტივირებული. ერთგვარი სიამაყით შემიძლია გითხრათ, რომ კომპანია ნატახტარი 2008 წლიდან არის გადასული მუშაობის იმ პრინციპებზე, რაზეც დღეს საუბრობს შრომის კოდექსი. ამის მიზეზი არის ის, რომ სწორედ 2008 წლიდან ჩვენ გავხდით ეფესის ლუდსახარშების საერთაშორისო ჯგუფის წევრები და ამან გამოიწვია დაქირავებულზე მეტად ორიენტირებული სამუშაო პირობების შექმნა. ინტენსიური ტრეინინგი თანამშრომელთა განვითარებისთვის, სამედიცინო დაზღვევა, სესხი, ავანსი, მეცამეტე ხელფასი, უფასო კვება, ყოველთვიური სასაჩუქრე პროდუქცია (ლუდი და ლიმონათი), თანამშრომელთა ტრანსპორტირება, ექიმი – ეს ყველაფერი კომპანიაში ახალი არ არის.

***– ახალი კანონპროექტის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით გააფრთხილოს დასაქმებული გათავისუფლების თაობაზე. დამსაქმებელს დასაქმებულის არგუმენტაციის გარეშე გათავისუფლება აღარ შეეძლება. ასეთ ცვლილებას იღებს ბიზნესი?***

– მაგალითად კომპანია „ნატახტარს“ აქვს საკუთარი დისციპლინარული პოლიტიკა – ქცევის კოდექსი, ის გაწერილია დონეებად და ცნობილია თითოეული თანამშრომლისთვის. ამიტომ თითოეულმა იცის კონკრეტულად რა სახის დარღვევა რა შედეგს გამოიწვევს. თუმცა იმასაც ვითვალისწინებთ, რომ შეცდომებს ის არ უშვებს,ვინც არ მუშაობს, ამიტომ მთელ რიგ შეცდომებს გაგებით ვეკიდებით. მაგალითად, ჩვენს კომპანიაში ცნობილია, რომ ნასვამ მდგომარეობაში მუშაობა კატეგორიულად დაუშვებელია. ალკოტესტის ჩატარების შემთხვევაში ყველა მზადაა მოსალოდნელი შედეგისთვის. ზოგადად, ნატახტარში ძალიან დაბალია თანამშრომლების გათავისუფლების მაჩვენებელი. მაგრამ თუ აუცილებელია შტატის შემცირება, გარკვეული მიზეზების გამო, ის თანამშრომელი ამ შეტყობინებას იღებს ერთი თვით ადრე და მას ეძლევა შესაბამისი კომპესაციაც. ერთ მაგალითსაც მოვიყვან: დეკრეტული შვებულების პერიოდში თანამშრომელს გარანტირებული აქვს სამუშაო ადგილი და სრული ანაზღაურება.




**ხათუნა ჩხაიძე**

***– კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო და ყველა დამატებით საათზე განისაზღვრება გარკვეული ზეგანაკვეთური გადასახადი. დამსაქმებლის გადმოსახედიდან ეს რა პრობლემებს შექმნის, თუნდაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მხრივ, როგორ იყო ეს კოდექსში სიახლეების შეტანამდეკ ომპანია „ნატახტარში“?***

– ყველა თანამშრომელი იღებს ზეგანაკვეთურს როგორც კი, ნამუშევარი საათები 41 საათს გადაცდება. ამას ჩვენ ბიუჯეტის შედგენისას ვითვალისწინებთ.რადგან ლუდის ჩამოსხმა უწყვეტი პროცესია, ქარხანაში არის ღამის ცვლა, ღამის ცვლაში ჩვენი კოეფიციენტია 1.2, ხოლო სადღესასწაულო დღეებზე თანამშრომელს ორმაგს ვუხდით. ეს ყველაფერი ჩვენს კომპანიაში 2008 წლიდან არის დამტკიცებული.

***– აღნიშნული ცვლილებები შრომის კოდექსში რამდენად დაიცავს დასაქმებულს?***

– შრომის კოდექსში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომლიც მიზნად ისახავს მის გაუმჯობესებას, ნამდვილად მისასალმებელია. რა თქმა უნდა, ამ ცვლილებების შედეგად დასაქმებულები უფრო დაცულად იგრძნობენ თავს სამუშაო ადგილებზე.

მაგთიკომი
MAGTICOM

# ვალენტინობის დღეს მაგთიკომმა ფოტოკონკურსის 3 გამარჯვებული რომაული არდადეგებით დააჯილდოვა

**14 თებერვალს, ვალნტინობის დღეს, კომპანია "მაგთიკომმა" კიდევ ერთი დაუვიწყარი და ემოციებით აღსავსე დღე აჩუქა, მისსავე ფოტოკონკურსის "ჩემი ვალენტინობის ბარათის" გამარჯვებულებს.**




"მაგთიმ" ყველას მისცა შესაძლებლობა ფოტოკონკურსში მონაწილეობა მიელო განურჩევლად იმისა, თუ რომელი მობილური ოპერატორის მომხმარებლები იყვნენ.

"გვსურდა სიყვარულის დღეს განსაკუთრებული საჩუქრებით გაგვეხარებინა შეყვარებული წყვილები. ვფიქრობთ, ეს შევძელით და ფოტოკონკურსის გამარჯვებულებს წინ დაუვიწყარი მოგზაურობა და შთაბეჭდილებები ელით საყვარელ ადამიანთან ერთად." – აცხადებენ "მაგთიში".

შეგახსენებთ, რომ "მაგთიკომის" ფოტოკონკურსი "ჩემი ვალენტინობის ბარათი" 16 იანვარს დაიწყო. მისი არსი ფოტოკონკურსისთვის მაგტიფუნ-ის ფაცებოოკ აპლიკაციაში სასიყვარულო ხასიათის ფოტოების ატვირთვა იყო. კონკურსის გამარჯვებულები 14 თებერვალს "ვალენტინობას" მაგთიკლუბში გამოვლინდნენ, სადაც მათ ულამაზესი გარემო დახვდათ. აქ ყველანაირი პირობა იყო შექმნილი დადებითი ემოციების მისაღებად.



აღსანიშნავია, რომ მაგტიფუნ-ის ფაცებოოკ აპლიკაციაში საკონკურსო ფოტოების ატვირთვამ გვერდის მომხმარებელთა რიცხვი გაზარდა. ამდენი შეყვარებული წყვილის სასიამოვნოდ გაჩერებული კადრები საოცარ ემოციებს იწვევდა. კომპანია "მაგთიმ" კიდევ ერთხელ შეძლო და მისთვის ჩვეული ორიგინალურობითა და დახვეწილობით სამ წყვილს რომში დაუვიწყარი მოგზაურობა აჩუქა.

როგორც "მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თათული ღვინიაშვილი ამბობს, კონკურსისთვის სულ 4 ათასამდე ფოტო აიტვირთა მაგტიფუნ-ის ფაცებოოკ აპლიკაციაში. აქედან ჟიურიმ ის ფოტოები გადაარჩია, რომლებიც მეორე ტურში მოხვდნენ და შემდგომ უკვე ფაცებოოკ ლაიქებით ყველაზე რეიტინგული ფოტო გამოვლინდა. ყველაზე ორიგინალური და კომპანიის რჩეული ფოტოები კი ყველაზე კომპეტენტურმა ჟიურიმ და მაგთიკომელებმა შეარჩეს.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ორიგინალური ფოტოს გამარჯვებული ზურაბ ლოლაძე, 14 თებერვალს 27 წლის გახდა და მისთვის ორმაგად სასიხაურლო იყო "მაგთკომის" საჩუქარი - რომაული არდადეგები. იგი დაჯილოდოების ცერემონიაზე თავის რჩეულთან ერთად იმყოფებოდა. ზურაბი თვითონვე იყო კადრის მთავარი მოქმედი გმირიც და ავტორიც.



"დღეს დაბადების დღე მაქვს, 27 წლის გავხდი და ეს საუკეთესო დღეა ჩემს ცხოვრებაში, რადგან "მაგთიმ" მომცა საშუალება დამემტკიცებინა ჩემი ორიგინალურობა და ამასთანავე საუკეთესო საჩუქარი გადმომცა.

"გადაღების პროცესი ძალიან საინტერესო იყო. ერთი დღით ადრე გავიგე, რომ გამარჯვებული ვიყავი და ემოციებს ვერ აგიღწერთ. ამის გაგება რომ შეძლოთ, უნდა გამოცადოთ რას ნიშნავს შემოქმედების მაღალი შეფასება და ოცნების ახდენა.

"ფოტოზე ჩემს საცოლესთან ერთად ვარ. ჩვენ ვართ მოქმედი გმირები, ისევე როგორც ავტორი. სურათს შტატივით ვიღებდით.

"ვიდეოგრაფიასა და გრაფიკულ დიზაინს ვეუფლები და ამავდროლულად ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ფოტოგრაფიას რაც შეიძლება მეტი დრო დავუთმო." – ამბობს ზურაბ ლოლაძე.

ზურაბის საცოლე ელენე ღლონტი კი აღნიშნავს, რომ დაუვიწყარი რომაული მოგზაურობის შემდეგ შესაძლოა დაქორწინებაზეც იფიქრონ. იგი ასევე, ხალისიანად იხსენებს გადაღების პროცესს და ამბობს, რომ დიდი ხანია იდეის დონეზე სურდათ მსგავსი თემატიკის ფოტო გადაეღოთ. კონკურსის გამოცხადებამ კი, იდეის განხორციელება დააჩქარა.

კომპანია მაგთიკომის სიმპატია 18 წლის, თათია ზურაბიშვილის ნამუშევარი აღმოჩნდა, სადაც როგორც თვითონ ამბობს წყვილის ძალიან სახალისო მიზანცენაა გადაღებული. იგი რომში სამოგზაუროდ დასთან ერთად მიემგზავრება.

"საოცარი შეგრძნებაა, ძალიან დიდი ემოცია იყო, მართლა არ ველოდი და არ მჯეროდა ასეთი რამეების, მაგრამ "მაგთიმ" ჩემს ოცნებებს ფრთები შეასხა და ახლა საოცრად იღბლიანად ვგრძნობ თავს, რისთვისაც მადლობას ვუხდი.



"ჩემს დასთან ერთად მივდივარ რომში. უკვე წიგნიც კი ვიყიდე, რომ იტალიური ენა შევისწავლო და მის ღირშესანიშნაობებს გავეცნო.

"რაც შეეხება ფოტოს, ჩემი კლასელები გადავიღე და აქ აღბეჭდილია გოგო და ბიჭის მხიარული ურთიეთობა. მათთვის ჰონორარი არ გადამიხდია, მაგრამ რომიდან საჩუქრებს ჩამოვუტან. მართალია, ისეთივე შთამბეჭდავს ვერა, როგორიც "მაგთიკომმა" გაგვიკეთა, მაგრამ..." – ამბობს თათია.

უნდა აღინიშნოს, რომ "მაგთიკომმა" თათიას კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო – მისი ნამუშევარი თბილისის ცენტრში, ბილბორდზე განთავსდება.

რაც შეეხება, ყველაზე რეიტინგული ფოტოს ავტორს, 23 წლის ნინო ლომინეიშვილს, მან საოცარი დიდსულოვნება გამოიჩინა და მისთვის განკუთვნილი პრიზი სამოგზაურო ბარათი რომში, გამარჯვებულ ფოტოზე აღბეჭდილ წყვილს გადასცა.

"ფოტოზე შეყვარებული წყვილია გამოსახული, რომლებიც ჩემი მეგობრები არიან. ფოტო სპეციალურად კონკურსისთვის არ გადამიღია. იგი კონკურსის გამოცხადებამდე 1 თვით ადრეა გადაღებული. შეყვარებული წყვილი კი უკვე 3 კვირაა დაქორწინდა და მე გადავწყვიტე, რომ "მაგთიკომისგან" გადმოცემული პრიზი -დაუვიწყარი მოგზაურობა რომში – მათ გადავცე საქორწინო საჩუქრად.

"რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ფოტოგრაფიისადმი, სულ რაღაც ერთი წელია პროფესიონალი კამერით ვმუშაობ. დედა იყო ფოტოგრაფი და როგორც ჩანს, მისგან მომსდევს ამის ნიჭი ან სურვილი. პროფესიით პროგრამისტი ვარ და ეკონომიკის სამინისტროში ვმუშაობ.

**სალომე ვაჩნაძე**

# თემურ შაშიაშვილი: „სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს დაპირისპირებისა და ელიტური კორუფციის ეპოქა იყო“

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ თემურ შაშიაშვილთან

***— ბატონო თემურ, პრეზიდენტის კონსტიტუციური ვადის გასვლასთან დაკავშირებით თქვენს მიმართვას პარლამენტისადმი რა სახე ჰქონდა, რომ პარლამენტი მას არ იხილავს?***

— თქვენ როგორ ფიქრობთ, მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ მერაბ ბერძენიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანო ბაგრატიონი, რეზო ჩხეიძე, 80 არასამთავრობო ორგანიზაცია, მიმართვა, რომელიც ეყრდნობა კონსტიტუციას, მიმართვა, რომელიც შეადგინეს ქართველმა და უცხოელმა კონსტიტუციონალისტებმა, მიმართვა, რომელიც არის გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, რომელსაც არ სჭირდება კონსტიტუციური უმრავლესობა და 89 ხმით მიიღება გადაწყვეტილება, პარლამენტის განხილვის საგანი აუცილებლად არ უნდა გამხდარიყო. საერთოდ, პარლამენტში შესული ნებისმიერი დოკუმენტი განხილვის საგანი უნდა გახდეს. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ დაპირება არ სრულდება. როცა ბატონმა რეზო ჩხეიძემ გადასცა დოკუმენტები, პარლამენტის თავმჯდომარე დაჰპირდა, რომ ჩვენ მიერ გადაცემული ორივე დოკუმენტი განიხილებოდა. ერთი ეხებოდა ჩვენს პროექტს. ჩვენი წინადადება ასე მთავრდებოდა: არ გააკეთებთ თქვენ, ამას გააკეთებს ხალხი, ანუ წინასწარ ვუთხარით, რომ სასურველია, ეს მათ გააკეთონ. ამაზე კანონიერად, ადამიანურად, სწორად როგორ უნდა გვეთქვა. მივედით და ვუთხარით: განიხილეთ. არ მოგწონთ, გვითხარით. ვიკამათოთ, დისკუსია იყოს. ცნობილი კონსტიტუციონალისტი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ბატონი პაატა ცნობილაძე რომ აკეთებს ასეთ დოკუმენტს, ხომ არ შეიძლება, უყურადღებოდ დატოვო? სამწუხაროდ, ჩვენი მიმართვა უყურადღებოდ დატოვეს და ვიღებთ იმას, რასაც ვიღებთ.



***— თქვენ პარლამენტში პროექტის ინიცირებისთვის საჭირო ხმებზე მეტი მოაგროვეთ.***

— ეს არაფერ შუაშია. ჩვენ მილიონ 200 ათასი ხმა მოვაგროვეთ არა იმისათვის, რომ შემდგომი მსვლელობები განგვეხორციელებინა.

***— დოკუმენტისთვის აუცილებელი განხილვის ფორმა რომ მიგეცათ?***

— ჩვენ ამას არ ვაკეთებდით. სრულიად კანონიერად მოსახლეობის გამოკითხვა ჩავატარეთ. როდესაც დავრწმუნდით, რომ ვისაც მივაკითხეთ, მათი 80-90% ერთსა და იმავე აზრზე იყო, მივიღეთ გადაწყვეტილება, მივსულიყავით პარლამენტში და ეს წინადადება მიგვეტანა.

***— არ ჯობდა, პარლამენტში შეტანილი დოკუმენტისთვის ინიციატივის სახე მიგეცათ, რომ აუცილებელი განხილვის რეჟიმში ჩამდგარიყო?***

— ეს რომ დავიწყეთ, არ ვიცოდით, როგორი იქნებოდა ხალხის განწყობა. პროცესი დავიწყეთ არა იმისათვის, ხალხისთვის გვეთქვა, საკანონმდებლო რაღაც ინიციატივებისთვის ვაკეთებდით, არამედ ხალხს ვუთხარით, რომ გვაინტერესებდა მათი აზრი. როდესაც ვნახეთ, რომ ხალხის განწყობა იყო საოცრად კარგი და პოზიტიური, შემდეგ ცნობილი ადამიანებისა და 80-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმოწერით მივედით პარლამენტში. ამის უფლება ჰქონდა ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, პარტიას. ჩვენ ეს გავაკეთეთ და პარლამენტს დოკუმენტები პირადად ბატონმა რეზო ჩხეიძემ ჩააბარა. მეტი რაღა უნდა გაგვეკეთებინა.

***— პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ პარლამენტში სააკაშვილის ვადის გასვლასთან დაკავშირებით საკითხის განხილვა შეიძლება მომავალში მოხდეს.***

— ქალბატონი ეკა ბესელია გახლავთ ის პიროვნება, რომელიც ამას იტყოდა. ასევეა თეა წულუკიანიც. იგივე თქვა პირველმა ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემაც. უმრავლესობის ლიდერმა ბატონმა დავით საგანელიძემ მას ვადაგასული უწოდა. დათო ბერძენიშვილიც კი ტრიბუნასთან მდგომი ამბობს, რომ ის არის ვადაგასული პრეზიდენტი. არ შეიძლება, ერთი მხრივ, ვუწოდებდეთ ვადაგასულს (სწორადაც ვუწოდებთ) და ვტოვებდეთ. მეორე მხრივ, ვიცოდეთ, რომ ვადაგასულია, კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტი აღარ არის (ფაქტების მიხედვით სწორად ამბობს პრემიერ-მინისტრი, რომ სააკაშვილი არის პროფესიონალი მატყუარა), პროფესიონალი მატყუარაა და თანაც ვადაგასული, რა მოხდა ასეთი, რომ ვერ ვუშვებთ პრეზიდენტის პოსტიდან?

***— 8 თებერვლის შეხვედრაზე პრეზიდენტის სასახლეში სააკაშვილს უცხო ქვეყნების დიპლომატები ტაშით შეხვდნენ. თქვენ რას მიაწერთ ამას?***

— დიპლომატები სწორად შეხვდნენ. დიპლომატებს არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება. ისინი ჩვენ გულში დაგვცინიან და ამბობენ, რა ქვეყანა ხართ თქვენ, თუ პრეზიდენტს ირჩევთ 5 წლის ვადით, როგორ შეიძლება, მეექვსე წელს კიდევ პრეზიდენტი იყოს? დიპლომატმა რომ თქვას, სააკაშვილი პრეზიდენტი არ არისო, ვინ ეკითხება დიპლომატს? დიპლომატი დაექვემდებარება პარლამენტის გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს. ხალხს ჰგონია, რომ ჩვენ უნდა ვდიოთ პრეზიდენტს უკან. პრეზიდენტს არასდროს არ უნდა ვდიოთ უკან. პრეზიდენტი არც უნდა გვიყვარდეს და არც უნდა გვძულდეს. პრეზიდენტის კონტროლს უნდა ვახორციელებდეთ. ის უნდა მუშაობდეს იმ პროგრამებზე, რომ დაგვპირდა, მაგრამ სააკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი და ხალხი ამბობს, რომ უნდა წავიდეს. რატომ უნდა ვდიო მე მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს? ჩვენ დღეს პრეტენზიები გვაქვს პარლამენტთან, იმ პარლამენტთან, რომელმაც უნდა მიიღოს დადგენილება. არაფერი საქმე ჩვენ მიხეილ სააკაშვილთან აღარ გვაქვს. ის არის თვითმარქვია, მატყუარა და სოციალური დემაგოგი. 21-ე საუკუნემ აღიარა, რომ 21-ე საუკუნის ტერორისტული აქტი არის სოციალური დემაგოგია. სხვათა შორის, პლატონი და არისტოტელეც ამბობდნენ თავის დროზე, რომ ხალხის ენაზე მოლაპარაკე პოლიტიკოსი უბედურებაა ხალხისთვის. სააკაშვილი ძალიან კარგად ახერხებს, ილაპარაკოს ხალხის ენაზე. ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია. მნიშვნელოვანია 8 თებერვლის ფაქტის გაანალიზება.

***— როგორ აფასებთ 8 თებერვლის ფაქტს?***

— რა იყო 8 თებერვალს ყველაზე მთავარი ინტრიგა? რატომ მაინცდამაინც დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს?

***— სააკაშვილი ეჯიბრება დავით აღმაშენებელს.***

— ეს თავისთავად სისულელეა, მაგრამ პარლამენტს თავიდანვე რომ აცნობა, მე მოვალ არა 6 თებერვალს, არამედ 8 თებერვალსო, უნდა ეთქვათ, 8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეაო და, როგორც აღდგომა დღეს არ შეიძლება პოლიტიკური ღონისძიების ჩატარება, როგორც ქრისტეშობას არ შეიძლება რაიმე ღონისძიების ჩატარება, ასევე არ შეიძლება დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს ღონისძიებების ჩატარება. ჩვენთვის დავით აღმაშენებელი მეფეთმეფეა. არ შეიძლება, მეფეთმეფის ხსენების დღეს ასეთი ღონისძიებები ჩაატარო.

***— წმინდანიც არის.***

— დიახ, წმინდანია, მეფეთმეფეა და მეფეთმეფის ხსენების დღეს თვითმარქვია კაცს ვაძლევდით ტრიბუნას სალაპარაკოდ. ერთი დღე ეკუთვნის დავით აღმაშენებელს და იმასაც ვართმევთ? 8 თებერვალს დავით აღმაშენებლის ხსენების დღე დავანაგვიანეთ. ეს ეკადრება ვინმეს? ეს იყო მთავარი ინტრიგა, რომელიც სააკაშვილმა ჩაიდინა.

***— სააკაშვილისაგან ეს გასაკვირი არ არის. მან აღმაშენებლის ძეგლებიც ქალაქგარეთ გაიტანა, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში.***

— მაგრამ კაცი არ აღმოჩნდა მთქმელი, დავით აღმაშენებელს რას ერჩი, ერთი ძეგლი გაიტანე, მეორე გაიტანე და მისი ხსენების დღეს კიდევ ებრძვიო? ანუ ყველაზე დიდ ქართველს, მეფეთმეფეს ასეთ რამეს რომ უკეთებ, შენ ვინ ხარ? 8 თებერვალს მე ვიყავი გელათში. არასოდეს მინახავს ასე ცოტა ხალხი. მძიმე ზამთარშიც კი ათჯერ მეტი ხალხი იყო, ვიდრე 8 თებერვალს. რატომ? იმიტომ რომ გელათისა და დავით აღმაშენებლის საფლავის პოლიტიზება მოხდა. როდესაც ისტორიაში პოლიტიზება შეიპარება, ხალხის ინტერესი კვდება. 8 თებერვალს ვიგრძენი ის, რა გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა – არც გელათი და არც დავით აღმაშენებლის საფლავი. დავითობა დღეს აღარ არის ის, რაც იყო 15-20-30 წლის წინ. ეს გააკეთა სააკაშვილმა.

***— თუმცა, სააკაშვილმა განაცხადა, გელათში ხალხი მელოდებოდა, რომ პროვოკაციაზე წამოვეგეო.***

— 8 თებერვალს ხალხს უნდოდა, 10 კაცი შეეგზავნა ბიბლიოთეკაში შეხვედრაზე. ეს ხომ პარლამენტი არ არის, შევიდოდნენ და საჯაროდ კითხვებს დაუსვამდნენ. ამას მოჰყვა ყველაფერი. ხალხს ჰგონია, რომ იქ შეკრებილებს ბიბლიოთეკის შენობაში სააკაშვილის ან გიგი უგულავას შეშვება არ უნდოდათ. ეს ტყუილია. სააკაშვილი დიდი სოციალური დემაგოგია. ის, რაც მან 8 თებერვალს გაითამაშა, მზაკვრობაა.

***— რა გაითამაშა სააკაშვილმა 8 თებერვალს?***

— როცა ხალხი იყო შეკრებილი, იქ გაუშვა სამეგრელოს გუბერნატორი. იმ კაცის იქ გამოჩენა, თუ შენ პრეზიდენტი ხარ, თუ შენ ქართველების სიმშვიდე გინდა, კაცი, რომელიც იყო მოადგილე ციხეებში და იმ უბედურებებთან იყო დაკავშირებული, რომელიც ბოლო დროს ცნობილი გახდა საზოგადოებისთვის, როგორ შეიძლება, იმ დღეს გამოაჩინო. სააკაშვილმა კი წინ გაუშვა, ისევე, როგორც 26 მაისს. ვინმემ მაჩვენოს, როგორ შეიძლება, კოლონაში მეოთხე მანქანამ მოკლას ადამიანი. იქ ხელი ჰკრეს პოლიციელს და შეაგდეს. ვინ ჰკრა ხელი? მაშინდელმა ხელისუფლებამ. ასევე გააკეთეს 8 თებერვალსაც – სპეციალურად გაუშვეს გუნავა ბიბლიოთეკასთან. სააკაშვილს ეგონა, ხალხი გუნავას ჩაქოლავდა. მერე სააკაშვილიც აღარ გამოვიდოდა სიტყვით, მაგრამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით იტყოდა, ხედავთ, ვისთან მაქვს საქმე? ესენი პაპუასები არიან. 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთან შეკრებილ ხალხს მადლობა ეკუთვნის, რომ გუნავა არ ჩაქოლა. იგივე ითქმის გიგი უგულავაზეც. 8 თებერვალს ხალხმა წარმოუდგენელი რამ მოითმინა.

***— ხალხთან საუბრისას ამერიკის ელჩმა დაგმო 8 თებერვლის ფაქტი, მაგრამ ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რაც მას ერთმა მოქალაქემ უთხრა, თქვენ მოქალაქე სააკაშვილს ესაუბრეთ და არა პრეზიდენტსო. მათ პრეზიდენტს უფლებამოსილება რომ გასვლოდა, მის პრეზიდენტად დარჩენას დაუშვებდნენ?***

— არა, რა თქმა უნდა. ამერიკის კონსტიტუციის ფუძემდებლები ამბობდნენ, რომ ამერიკის კონსტიტუციის პირველი მოვალეობაა, დაიცვას ადამიანის ბუნებითი უფლებები და ადამიანის ბუნებითი უფლებები არის ღვთის მიერ ნაბოძები. რას თვლიდნენ ადამიანის ბუნებით უფლებებად? სიცოცხლის უფლებას, სიტყვის უფლებას, საკუთრების უფლებას (ასევე ადამიანის განწყობასა და ხელშეწყობას კეთილგანწყობისათვის რომ ეზრუნა). რომელია საქართველოში დაცული? ამერიკა, რომელიც თავის ქვეყანაში ყველაზე დიდ ფუნდამენტს ხედავს, რომ დაიცვას ადამიანის სიცოცხლის, სიტყვისა და საკუთრების უფლება, საქართველოში იცავს იმ კაცს, რომელიც სამივეს ანგრევს. ამიტომ დაკარგა ამერიკამ ავტორიტეტი საქართველოში. ნუ ჰგონიათ ამერიკის ელჩსა და ამერიკელებს, რომ ამერიკის ავტორიტეტი საქართველოში დღეს რაიმეს წარმოადგენს. ამერიკის ავტორიტეტი საქართველოში დაინგრა იმის გამო, რომ რასაც არ დაუშვებდნენ ამერიკაში, იმას პატიობენ სააკაშვილს და იმის დაშვება უნდათ საქართველოში. 26 მაისს ამერიკის ელჩმა სააკაშვილს მისცა უფლება, მიდით და დაარბიეთო. 8 თებერვალს ამერიკის ელჩმა განცხადება გააკეთა და უთხრა საქართველოს მოქალაქეებს, წადით სახლშიო. რა უფლება აქვს ამერიკის ელჩს, უთხრას მოქალაქეებს, სახლში წადითო? საქართველოს ელჩმა რომ მიმართოს ამერიკელებს ამერიკაში, ისინი სასაცილოდ ხომ აიგდებენ? კენედი და რეიგანი ჩემთვის არის ორი დიდი საზომი პოლიტიკაში. კენედი იყო მართლაც დიდი დემოკრატი. რეიგანი 70 წლის გახდა პრეზიდენტი. ის ამბობს, როდესაც ორი ვადა გამითავდა და პრეზიდენტობიდან მივდიოდი, მეგონა, ყველაზე მეტის გაკეთება მაშინ შემეძლო, მაგრამ მე ვთქვი, ამერიკა იმიტომაა ძლიერი, რომ ერთი საათითაც არ შეიძლება, იმაზე მეტ ხანს იყო, ვიდრე კონსტიტუციითაა განსაზღვრული-მეთქი.

***— სააკაშვილსაც ასე ჰგონია, რომ ახლა ბევრის გაკეთება შეუძლია.***

— არა. სააკაშვილმა ქვეყანა დააქცია. ვიდრე სააკაშვილი იყო პრეზიდენტი, ის გახლდათ დაპირისპირებისა და ელიტური კორუფციის ეპოქა. აი, იმ გუმბათს რომ ხედავთ (ბარათაშვილის ქუჩაზე არსებული სახლისკენ მიმითითა – გ.ბ.), იმ სახლზე ორივე მხრიდან დაშენებულია მე-7 სართული. ორივე სართული სააკაშვილისაა.

***— ამბობენ აღმაშენებლის გამზირის შენობებზე დაშენებები ვანო მერაბიშვილისააო.***

— თურქებმა მითხრეს, მთელი აღმაშენებლის გამზირი ჩვენიაო. მთელი ზღვა ჩვენიაო. მარტვილში მითხრეს, ამის იქით ჩინეთიაო. ჩინელებს აქვთ მთელი ტყეები ნაყიდი. ვინ გააკეთა ეს? ვისაც მიხეილ სააკაშვილის იმედი აქვს, მე იმის ქართულ განწყობაში ეჭვი მეპარება. რასაც სააკაშვილი ლაპარაკობს დღეს, თუ ის გაცნობიერებული აქვს და სწამს, რასაც ამბობს, თეთრი ხალათი უნდა ჩავაცვათ და სპეციალურ სახლში გავუშვათ. თუ არ სწამს და ამას თავისი პარტიის გადარჩენისთვის აკეთებს, არაფერი გამოუვა. მისი პარტია უნდა გასამართლდეს. საინტერესოა, რატომ იღებენ პასუხისმგებლობას სააკაშვილის ქმედებებზე ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ სააკაშვილი ისევ პრეზიდენტია.

---

თამარ ნინიძე

# პეტრე მამრაძე: „დამნაშავეები ვირის აბანოში მიაბრძანეთ“

### ინტერვიუ მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე პეტრე მამრაძესთან

***— პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, როგორ შეაფასებთ იმ პროცესებს (პრეზიდენტის გამოსვლის გადადება პარლამენტში), რომლებიც წინ უძღოდა 8 თებერვალს?***

— მმართველმა კოალიციამ დაუშვა შეცდომა, როდესაც გააუქმა ვადაგასული პრეზიდენტის მოხსენება მაშინ, როცა ის უკვე საჯაროდ იყო გამოცხადებული. დრო და ადგილი გამოცხადებული იყო და დიპლომატიური კორპუსიც იყო დაპატიჟებული. ასევე შეცდომა იყო მომავალში მოხსენების მოსმენისათვის ცნობილი პირობების წამოყენება. მმართველ კოალიციას ადრე უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე არ მოუსმენდა სააკაშვილს; ადამიანს, რომელსაც საქართველოს ყველა პატიოსანი და საღად მოაზროვნე მოქალაქე სადისტური სისტემის ვადაგასულ პრეზიდენტად აღიქვამს.

***— ვინ იყო მთავარი პროვოკატორი რვა თებერვლის მოვლენებში?***

— მთავარი პროვოკატორი, ცხადია, თვითონ სააკაშვილი იყო. სააკაშვილი აზროვნებს არა ლოგიკურად, არა მსჯელობით, არამედ სურათებისა და სიტუაციების წარმოდგენით. მაგალითად, როცა აცხადებს, რომ „ღრუბელ-ღრუბელ მიფრინავდა“ ფოთში რუსული თვითმფრინავებით გარშემორტყმული, იმ მომენტში მართლა ხედავს შინაგანი მზერით ასეთ სურათებს, მიუხედავად იმისა, რომ ფოთში მაშინ საერთოდ არ ყოფილა და ეს მისი „სნებიანი ფანტაზიის ნახატია“ მხოლოდ. როგორც კი გავიგე, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში „დააპირა“ მისვლა, მივხვდი, რომ პროვოკაცია დაგეგმა ტელეეკრანებზე სასურველი სურათების ანუ, მისი და მისი გარემოცვის სიტყვებით რომ ვთქვათ – „ტელეკარტინკის“ მისაღებად.

***— შეეძლო თუ არა სააკაშვილს, ავლაბრის რეზიდენციიდან თავიდანვე მიემართა საზოგადოებისთვის და თავიდან აგვეცილებინა სამოქალაქო დაპირისპირება?***

— რა თქმა უნდა, შეეძლო. დავიწყებ იმით, რომ ბიბლიოთეკაში მისვლას არც აპირებდა. რომ დაეპირებინა, სამთავრობო დაცვა დაცვის ქვეშ აიყვანდა არა მარტო ბიბლიოთეკის შენობას, არამედ მიმდებარე ობიექტებსა და ქუჩებსაც. განისაზღვრებოდა ე.წ. დასაცავი პერიმეტრი და მის დაცვას შეუდგებოდნენ სააკაშვილის მისვლამდე კარგა ხნით ადრე. ეს არ გააკეთეს. თვითმხილველებმა ნახეს, როგორ მოამზადა პოლიციამ დერეფანი ქაშუეთის მხრიდან ცენტრალურ შესასვლელამდე და არა „შუკა-შუკა“. შუკა-შუკა, ზედა ქუჩებიდან სწორედ პროვოკატორები გამოჩნდნენ ყველასათვის მოულოდნელად; პირდაპირ ხალხში შეიჭრნენ და ყველამ ნახა, როგორ იქცეოდნენ პროვოკატორები სტრიპტიზმერის უგულავას ხელმძღვანელობით. სამოქალაქო დაპირისპირება ნამდვილად არ ყოფილა. ერთი მხრიდან იყო ერთი მუჭა ყველასათვის საძულველი პროვოკატორებისა, მეორე მხრიდან კი – სადისტური სისტემის მიერ ნაწამები, შეურაცხყოფილი ადამიანები. ასეთ ვითარებას სამოქალაქო დაპირისპირებას ვერ უწოდებ.



გაგრძელება მე-7 გვერდზე

## მაია ორჯონიკიძე: „ჩემი შვილი იზოლატორში ბიძინა ივანიშვილმა გამოამწყვდია“

იზა ორჯონიკიძის შვილი, მაია ორჯონიკიძე პოლიციას შვილის დაკავებისა და მისთვის ყალბი ბრალდების წაყენების გზით, ზეწოლაში ადანაშაულებს. მაია ორჯონიკიძე, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ოპოზიციის მიერ მოწყობილ აქციებში და ასევე ხშირად შედის სატელევიზიო დებატებში ხელისუფლების მხარდამჭერებთან, 'ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე წერს, რომ მისი შვილი გვიან ღამით, დაახლოებით 04.00 საათზე სახლიდან გაიყვანეს და როგორც მოგვიანებით გაირკვა, პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში გადაიყვანეს

**საქართველო და მსოფლიო**

## პეტრე მამრაძე: „დამნაშავეები ვირის აბანოში მიაბრძანეთ“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

*— როცა სააკაშვილი ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირზე საუბრობს, ნაციონალები არ ახსენებენ 2009 წლის 6 მაისს, გიორგობა დღეს პოლიციის სამმართველოსთან მომხდარ დაპირისპირებას, როცა სპეცრაზმელები შენობის ეზოდან გაუსვლელად რეზინის ტყვიებით უმასპინძლდებოდნენ მისულ ოპოზიციონერებს, ბურჯანაძის თანაპარტიელ ბესო ტაბატაძეს რეზინის ტყვიამ თვალი ამოუგდო. სავარაუდოდ, ის სპეცრაზმელი არ დაუსჯიათ და შესაძლოა, წაახალისეს კიდეც. თქვენი კომენტარი მაშინდელ პროცესებზე და ახლანდელზე როგორი იქნება?*

— ბოლო წლებში სააკაშვილის ავტორიტარული კლეპტოკრატია მხოლოდ ძალადობას, ტყუილსა და სიძულვილს ემყარებოდა. მაგალითად, 2011 წლის 26 მაისს პოლიციას საკმარისზე მეტი ძალა ჰქონდა, რომ დემონსტრანტები უექსცესოდ დაეშალა. ნაცვლად ამისა, ამერიკელი დამკვირვებლების შეფასებით, ალყაში მოაქციეს და ,,ცხვრის ფარასავით გაჟლიტეს“ უიარაღო ადამიანები. სხვა ბევრი ამაზრზენი ფაქტის დასახელება შეიძლება. ძალადობის შემსრულებლებს ახალისებდნენ და აწინაურებდნენ. კაკო ბობოხიძე პირდაპირ ეთერში ფიზიკურად თავს დაესხა ჟურნალისტს და ამის შემდეგ გვარდიის სარდლად დანიშნეს. 2011-ში სიტყვას წარმოვთქვამდი პარლამენტის სხდომაზე, თავს დამესხა უწმაწური გინებით და საფეთქელში დამარტყა — ახლა უმცირესობის ფრაქციის თავმჯდომარეა. ორივე შემთხვევაში პროკურატურა ვალდებული იყო, საქმე აღეძრა და მკაცრი სასჯელიც არ უნდა ასცდენოდა, ამის ნაცვლად კი დააწინაურეს. ახლა ძალადობისათვის საჭირო ძალა გამოეცალათ, ამიტომ ცდილობენ ძალადობის პროვოცირებას. ეს ჰაერივით სჭირდებათ.

*— ივანიშვილმა სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადებით დაგმო ძალადობა და დიალოგისთვის მზადყოფნის სურვილი გამოხატა. ასევე საპასუხო რეაქცია დიალოგისკენ მოწოდებით სააკაშვილისგანაც მოვისმინეთ. ხომ არ არის ეს მორიგი კოაბიტაციური შოუ?*

— მმართველმა კოალიციამ მეტი უნდა იზრუნოს ხალხისათვის ოფიციალური განცხადებების ასახსნელად. ივანიშვილი სწორად იქცევა, როდესაც დიალოგისათვის მზადყოფნას აცხადებს. მაგრამ ყველას უნდა განემარტოს, რომ ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სანამ სააკაშვილი და მისი თანამზრახველების ნაწილი ოფიციალურ თანამდებობებს იკავებენ, საჭირო და გარდაუვალია მათთან ურთიერთობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ამას ითხოვს ქვეყნის კონსტიტუცია და მთლიანად კანონმდებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის მართვა შეფერხდება. მოხდება სახელმწიფო ინსტიტუტების პარალიზება, რაც დაუშვებელია. ამავდროულად, ასეთი ურთიერთობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გამოძიება შეწყდება და დამნაშავეებს, მათი დღევანდელი თანამდებობების განურჩევლად, არ მიაბრძანებენ ვირის აბანოში. სააკაშვილის მხრიდან კი ნამდვილად იმართება კოაბიტაციური შოუ. მას, როგორც პროფესიონალ მატყუარას, სურს, შესაბამისი ,,ტელეკარტინკებით“ და განცხადებებით დაარწმუნოს დასავლეთის გარკვეული წრეები, რომ დემოკრატი პრეზიდენტია, რომელმაც დემოკრატიულად და მშვიდობიანად, არჩევნების გზით დათმო ძალაუფლება, ახლა კი ყველაფერს აკეთებს მშვიდობიანი და კონსტრუქციული კოაბიტაციისათვის. ამ დროს ,,კრემლის“ მიერ მოყვანილი ძალა პოლიტიკურად დევნის მას და მისი გუნდის წევრებს, ფიზიკურად უსწორდება მათ და ანგრევს მათ მიერ აშენებულ თანამედროვე სახელმწიფოს. ამავდროულად, ის ყველა ხერხით ეცდება ძალადობისა და არეულობის პროვოცირებას.

*— სააკაშვილმა ბოდიში მოუხადა საზოგადოებას, მაგრამ ალბათ ეს საკმარისი არ არის. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი ნანობს ცხრა წლის განმავლობაში მისი და მისი გუნდელების ნამოქმედარს?*

— სააკაშვილს ახლოს ვიცნობ პირადად. ის შეიძლება ნანობდეს მხოლოდ იმას, რომ მის მიერ შექმნილმა სადისტურმა სისტემამ კრახი განიცადა და ძალაუფლება შეეკვეცა. ეს განცდა კი შურისძიების დაუოკებელ წყურვილს უჩენს. ერთადერთი სწორი და სინამდვილეში მისთვისაც მომგებიანი ნაბიჯი იქნება, რომ გადადგეს (ეს ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში უნდა გაეკეთებინა), აღიაროს თავისი დანაშაული და აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

*— ელოდებით პროცესების ხელახლა დაძაბვას და, თქვენი აზრით, თუ დიალოგი შედეგს ვერ მოიტანს, რა იქნება სააკაშვილისა და მისი მომხრეების შემდგომი ნაბიჯი?*

— დიალოგი შედეგს, ცხადია, ვერ მოიტანს, ვინაიდან სააკაშვილსა და მის თანამზრახველებს უმძიმესი დანაშაული აქვთ ჩადენილი და ახლა აგრესიული, რევანშისტული გეგმები აქვთ. მმართველი კოალიცია უნდა მოქმედებდეს ოპერატიულად და მტკიცედ. სააკაშვილი და მისი ,,გუნდი“ მხოლოდ ძალას ცნობენ და სხვა ყველაფერს მოწინააღმდეგის სისუსტედ აღიქვამენ. ცხადია, მმართველი კოალიცია კანონის ძალას უნდა იყენებდეს. მზად უნდა ვიყოთ ახალ-ახალი პროვოკაციებისა და საბოტაჟისათვის სააკაშვილისა და მისი ,,გუნდის“ მხრიდან. კურიოზულია: პოლიტიკაში მოსვლითა და არჩევნებში გამარჯვებით ივანიშვილმა არა მარტო სრულიად საქართველო გადაარჩინა სააკაშვილის სადისტურ რეჟიმს, არამედ, თანმდევი ეფექტის სახით, თვით სააკაშვილი და მისი თანამზრახველები გადაარჩინა ჩაუშესკუს ბედის გაზიარებას ანუ ხალხის რისხვასა და მათ ფიზიკურ განადგურებას. საჭიროა, სამგლე გოჭივით ატეხილ ვადაგასულ პრეზიდენტსა და მის ჯამბაზებს შევახსენოთ, რომ ცეცხლს ეთამაშებიან — მათი ქცევის გამო ხალხის სიძულვილი და რისხვა დღითიდღე მატულობს და ვერც ერთი სახელმწიფოს პოლიცია ვერ იცავს ასეთ დროს დამნაშავეებს მთელი მოსახლეობის რისხვისაგან.

## თინა ხიდაშელი: „1-ლი ოქტომბრის შემდეგ თამაშის წესები შეიცვალა“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თინა ხიდაშელის განცხადებით, კანონი ყველასთვის ერთია და გიგი უგულავა ზუსტად ისეთ მოპყრობას მიიღებს, როგორსაც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე.

ამის შესახებ ხიდაშელმა შსს-ს იმ განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმად, თბილისის მერს გიგი უგულავას დაკითხვაზე იძულების წესით მიიყვანენ.

„მე მარტივი შეკითხვა მაქვს „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მთელმა საქართველომ რომ გადაწყვიტოს და თქვას, რომ გიგი უგულავაზე და გიორგი ღვინიაშვილზე ნაკლები არაფრით არის და მოდით და სახლებში დაგვკითხეთო, მაშინ როგორ უნდა მოიქცეს შსს და პროკურატურა? ამ ადამიანებმა მთავარი რამ ვერ გაიგეს, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ თამაშის წესები შეიცვალა და სამართალი ყველასთვის ერთია. გიგი უგულავა ზუსტად ისეთ მოპყრობას მიიღებს, როგორსაც საქართველოს ყველა მოქალაქე. ჩვენმა ოპონენტებმა კარგად უნდა გაიგონ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებს პატივი უნდა სცენ, ქვეყანას კანონი მართავს და ის ყველასთვის თანაბარია. მე უგულავას შევთავაზე ორი ვარიანტი, გამომძიებლი დაკითხვაზე მაშინ მიდის, როცა დასაკითხი პიროვნება პატიმარია ან ავადმყოფი, აირჩიოს უგულავამ რომელია და მაშინ გადაწვეტს შსს მივიდეს თუ არა მასთან დაკითხვაზე“, — განაცხადა ხიდაშელმა.

**პირველი**

# საქართველოში საგანგებო დემოგრაფიული მდგომარეობა ცხადდება?

მერი ნამორაძე



**იმალებოდა თუ არა წინა ხელისუფლების მიერ ქვეყნის დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგომა? გაეროს საგანგაშო ინფორმაციები მაინც ხდებოდა საქართველოს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი, თუნდაც მომაკვდავ ერთა ნუსხაში ჩვენი ყოფნის შესახებ, მაგრამ ხელისუფლება ამას წაუყრუებდა და მხოლოდ კანონზომიერ პროცესად აღიარებდა შობადობის კლებას ქვეყანაში. პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე კი რა მოგახსენოთ, ასეთი იდეა მხოლოდ ქვეყნის კათოლიკოს-პატრიარქს გაუჩნდა მესამე შვილის მონათვლის სახით. რას აპირებს ახალი ხელისუფლება, რამდენად რეალურია ქვეყნის გამოყვანა დემოგრაფიული კრიზისიდან? ამ თემებზე გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრმა თამარ ჩიბურდანიძემ ისაუბრა.**

გუშინდელ შეხვედრას პროექტის ერთ-ერთი ავტორი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი დიმიტრი ხუნდაძეც უნდა დასწრებოდა, მაგრამ გეგმები შეცვალა და კობა დავითაშვილის მონახულება არჩია ტელეკომპანია „მაესტროში“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ, ჟურნალისტებს კი ბოდიში შემოუთვალა. როგორც თამარ ჩიბურდანიძემ აღნიშნა, ბოლო 7-8 წლის განმავლობაში შეინიშნებოდა დემოგრაფიული ვითარების სერიოზული გამწვავება. ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლება ინფორმაციას მალავდა. სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს შობადობის ბუმის შესახებ ჩიბურდანიძემ სიცრუე და სიყალბე უწოდა და 2010 წლის გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევის შედეგები მოიყვანა მაგალითად, რომელიც ოფიციალურად გადმოეცა ხელისუფლებას, მაგრამ მათ ეს ინფორმაცია დამალეს. ამ კვლევის მიხედვით, საქართველოს 2050 წლისთვის სერიოზული დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება, რომლის პიკი 2020-25 წლიდან დაიწყება.

-— საქართველოს მოსახლეობა მთელ კავკასიაში ხვდება უმცირესობაში, ანუ 2050 წლისთვის, გაეროს მონაცემებით, მთელ კავკასიაში საქართველოს მოსახლეობა 1,170 მილიონით მცირდება. მაშინ, როცა აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონიდან 11 მილიონამდე იზრდება, სომხეთის მოსახლეობაც მცირედით, მაგრამ მაინც ზრდაშია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სომხეთის მოსახლეობა მონოეთნიკურია და 99 პროცენტს ეთნიკური სომხები შეადგენენ, საქართველოს მოსახლეობა და ეთნიკური ქართველები კავკასიაში უმცირესობაში ხვდებიან, — აღნიშნა ჩიბურდანიძემ.

უცხოელ ექსპერტთა აზრით, იმდენად დიდია საქართველოში დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხე, რომ როგორი ინიციატივებიც არ უნდა შეიმუშაოს ხელისუფლებამ ჯანდაცვისა თუ სოციალური კუთხით, შობადობის კლება მაინც გარდაუვალია.

რას გეგმავს ახალი ხელისუფლება ვითარების სტაბილიზაციისთვის ან დემოგრაფიული კატასტროფის შესანელებლად? ჩიბურდანიძის თქმით, უკვე დაიწყო ზრუნვა დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად, ანუ შეიქმნა დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია. მობილიზებულია ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც საგანგებო პროგრამაზე მუშაობს. ამასთან, შეიქმნება დემოგრაფიული განვითარების ფონდი, რომლის პრეზენტაცია რამდენიმე დღეში გაიმართება. პროცესში უკვე ჩართულია სხვადასხვა უწყება და კოალიცია „ქართული ოცნება“.

დემოგრაფიული განვითარების პროექტის ავტორები რეგიონებში გასვლასა და მოსახლეობის ინფორმირებას აპირებენ მოსალოდნელ დემოგრაფიულ საფრთხეებზე. თუ 1926 წლის მონაცემებით კავკასიაში საქართველოს მოქალაქე იყო ყოველი მესამე, 2010 წლის მონაცემებით მთელ კავკასიაში საქართველოს მოქალაქეა ყოველი მეცხრამეტე. საქართველოს რეგიონებში ყველაზე კარგი ვითარება დემოგრაფიული კუთხით არის ქვემო ქართლში — აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიასა და აჭარაში. საგანგაშო მდგომარეობაა კახეთში, ასევე მთიან რეგიონებში და განსაკუთრებით საზღვრისპირა ზოლში, რომელიც თითქმის დაცლილია მოსახლეობისგან. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ღონისძიების გატარება მთიანი რეგიონებიდან დაიწყება. დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას დემოგრაფიული ფონდი სწორედ რეგიონების მიხედვით დაგეგმავს. ჯანდაცვის კომიტეტი უკვე გამოდის ინიციატივით, რომ 2013 წელი დემოგრაფიის წლად გამოცხადდეს და შემუშავდეს დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია 2025 წლამდე, რადგან სწორედ ეს წლებია ყველაზე სახიფათო. ჩიბურდანიძემ აღნიშნა, რომ ძალიან ბევრმა საქართველოს მოქალაქემ არ იცის, თუ რა ელით უახლოეს მომავალში მცირე ერებს. საქართველომ უნდა შეძლოს, გლობალიზაციიდან აიღოს ის, რაც ქვეყანას გამოადგება. ფონდის მუშაობაში კი, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე მის გარეთ მყოფი ცნობილი სახეები ჩაერთვებიან, რათა ერთობლივად შეძლოს ერმა კატასტროფის თავიდან აცილება.

— საერთო ეროვნული პრობლემები ქვეყანაში მხოლოდ ხელისუფლების ნებით გვარდება და დღევანდელ ხელისუფლებას აქვს ნება, თავისი ერი გადაარჩინოს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სააკაშვილს, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, უნდა ვუწოდო ერის მკვლელი პრეზიდენტი, რომელიც ამ ინფორმაციას დაუმალავს ქვეყანას, ამ ციფრებს არ მიაწვდის. ერთია, არ მიაწვდის, მეორე — არ დაგეგმავს შესაბამის ღონისძიებებს, რათა ერის გენოფონდი გადაარჩინოს და კატასტროფა თავიდან აიცილოს. დიახაც, ის არის სწორედ ერის მკვლელი! — განაცხადა ჩიბურდანიძემ.

კონკრეტულად რას გეგმავს ახალი ხელისუფლება დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად? საქართველოში არსებული 15 დემოგრაფიული საფრთხიდან დემოგრაფიული განვითარების ფონდში, რომელიც რამდენიმე დღეში დარეგისტრირდება, უკვე შექმნილია ექსპერტთა ჯგუფი ფინანსისტების, ეკონომისტების, დემოგრაფებისა თუ პოლიტიკოსების შემადგენლობით, რომლებიც მუშაობენ იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს თითოეული საფრთხე აცილებული, მაგალითად, როგორ შეიძლება შობადობის მაჩვენებლების გაზრდა. როგორ შეიძლება ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებლების შემცირება წლამდე ასაკში. პრიორიტეტი კი მესამე შვილის წახალისება იქნება. ჯანდაცვის სამინისტროსა და კომიტეტს უკვე გააჩნია გარკვეული ინიციატივები, რომლებიც უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, მათ შორის არის უფასო მშობიარობა და ორსულთა უფასო სამედიცინო მომსახურება მთელი 9 თვის განმავლობაში. რამდენიმე დღის წინ იუსტიციის მინისტრმაც გამოთქვა სურვილი, ჩართულიყო ამ პროცესებში და იუსტიციის სამინისტრო თავის ინიციატივებს წარმოადგენს.

„ახალ თაობასთან“ საუბრისას თამარ ჩიბურდანიძემ აღნიშნა, რომ გლობალიზაცია შთანთქავს მცირე ერებს და ამ პროცესის შეჩერება ძალიან ძნელია. რაც შეეხება შობადობას მსოფლიო მასშტაბით, მოსახლეობის რაოდენობა იზრდება კატასტროფულად, ვერ აჩერებენ ამ ზრდას. საქართველოში კი მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება. შობადობის კლება მცირე ერებს ემუქრება.

*— ქალბატონო თამარ, პატრიარქის მოწოდებამ ხომ წაახალისა მესამე შვილი. ამაზე თუ დაგვეთანხმებით?*

— რა თქმა უნდა, პატრიარქის მოწოდება იყო ერთადერთი ინიციატივა საქართველოში, რომელმაც მცირედით გაზარდა შობადობა. ეს არ არის ნამატი. ნამატი არის მაშინ, როცა მოკვდაობას აღემატება შობადობა. დღეს საქართველოში მოკვდაობა რამდენჯერმე აღემატება შობადობას.

*— თქვენ მესამე შვილის წახალისებაზე ისაუბრეთ, არადა, მეორე შვილიც წასახალისებელია საქართველოში, ამის თაობაზე რას იტყვით? რა ბერკეტები უნდა ამუშავდეს შვილის ყოლის მოთხოვნის გასაზრდელად. შეიძლება, ეს იყოს გარკვეული თანხის დანიშვნა ყოველთვიურად წლამდე ასაკში მაინც?*

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემოგრაფიული განვითარების ფონდიდან პრიორიტეტი იქნება მესამე შვილი. თქვენ წარმოიდგინეთ, არც მეოთხე და მეხუთე შვილი, რადგან მრავალშვილიანებისთვის სახელმწიფოს აქვს პროგრამა და კიდევ სპეციალურ პროგრამას დადებს სახელმწიფო მრავალშვილიანთათვის. პრიორიტეტი იქნება მესამე შვილი, რადგან ნამატი ქვეყნის მოსახლეობას აქვს მხოლოდ მესამე შვილზე. მეორე შვილი არ არის ნამატი.

*— კი მაგრამ, მესამემდე ხომ უნდა მივიდეს ოჯახი, მას მეორის გაჩენაც უჭირს.*

— გეთანხმებით, მაგრამ ამიტომ ვმუშაობთ ჩვენ და ხელისუფლება ერთად, მშობიარობა იქნება უფასო, ორსულის სამედიცინო დახმარება გახდება უფასო; საყოველთაო დაზღვევა საერთო საბაზისო პაკეტში შედის და, როცა მოქალაქეს ჯანდაცვა თითქმის უფასო ექნება, გაუმჯობესდება ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, შემოსავლები მოიმატებს, მეორე შვილზე პრობლემა აღარ გვექნება. დღეს პრობლემაა არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, არამედ პრობლემაა სწავლა-განათლებაც, რაც დიდი პრობლემა და ფუფუნებაა საქართველოში. ამიტომ არის, რომ ყველა განათლებული ოჯახი თავს იკავებს შვილის გაჩენისგან, რადგან სურს, შვილს მისცეს უმაღლესი განათლება, რაც ძალიან ძვირი ღირს დღეს საქართველოში. ამ მხრივ ჩაერთვება განათლების სამინისტრო, თუ რა პრიორიტეტები შეიძლება ამ კუთხით დავდოთ. ოღონდ ფონდის პრიორიტეტი იქნება მესამე შვილი და არა სახელმწიფოსი.

*— თანხების მოზიდვა ხომ არ გაჭირდება ბიზნესის წარმომადგენლებისგან?*

— ვნახოთ, როგორ იქნება. ამაზე საუბარი წინასწარ გვიჭირს, მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ თანხები შემოვა და ყველა კაპიკი მოხმარდება ამ საქმეს. ამასთან, ამ ფონდიდან გავა თანხები უშვილოთა მკურნალობაზე, რაც დიდი პრობლემაა საქართველოში. გვინდა, თანხები გავიდეს წლამდე ასაკის ბავშვების სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანმრთელობაზე.

# ვერიკო ტურაშვილს ახალი კლიპი აქვს

ეკა ირემაშვილი

**მომღერალმა ვერიკო ტურაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო და მისი რეჟისორი კვლავაც უცვლელად ანრი ჯოხაძეა. კლიპი მომღერალმა ამჯერად გოგი დოლიძის მიერ შესრულებულ უკვდავ სიმღერაზე „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს" გადაიღო, რომელიც სრულიად ახლებური ინტერპრეტაციითაც ჩაწერა.**

კლიპის რეჟისორი ვერიკო ტურაშვილის განუყრელი მეგობარი ანრი ჯოხაძეა. კლიპის გადაღებები მუსიკისა და დრამის თეატრში მიმდინარეობდა და მომღერლის გარდა, მასში ქართული თეატრისა და კინოს ნამდვილი ვარსკვლავები მონაწილეობენ – კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ზურა ყიფშიძე, ლეილა აბაშიძე, გურანდა გაბუნია, დუტა სხირტლაძე, გიორგი ყიფშიძე, ნანკა კალატოზიშვილი, გიორგი გასვიანი, ნინო შავგულიძე, მაკა შალიკაშვილი, ნინო ხომასურიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი. მთლიანობაში კლიპში 13 მსახიობია დაკავებული.

კლიპის სატელევიზიო პრემიერა მაია ასათიანის „პროფილში" დაიგეგმა, თუმცა მანამდე შემოქმედებითმა ჯგუფმა მისი ე.წ. შინაურული ჩვენება ექსპრომტად მოაწყო და ყველა ის ადამიანი მიიპატიჟა, ვინც ვერიკოსა და ანრის შემოქმედების და ზოგადად ქართული შოუბიზნესის აქტიური გულშემატკივარია,

კლიპის ჩვენებას მასში მონაწილე მსახიობებიდან მხოლოდ რამდენიმე ესწრებოდა, მათ შორის გურანდა გაბუნია, ნანკა კალატოზიშვილი. როგორც ვერიკო ტურაშვილმა განაცხადა, მისთვის დიდი პატივია, რომ ასეთ გენიალურ სიმღერასთან მოუწია შეხება და გოგი დოლიძის სავიზიტო ბარათად ქცეული მელოდიის ახლებურ ინტერპრეტაციაზე იმუშავა.

კლიპის წარმოდგენის შემდეგ შეკრებილი მაყურებელი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით ამხნევებდა ვერიკოს, ანრის და შემოქმედებით ჯგუფს, ნაწილს კი ამ კლიპის ხელახლა ნახვის სურვილი გაუჩნდა და „კიდევ, კიდევო" გაიძახოდა. პრეზენტაციაზე შეკრებილმა საზოგადოებამ ერთხმად დადებითად შეაფასა ვერიკოს ახალი ნამუშევარი და მას შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა. თავის მხრივ ვერიკომაც და ანრიმაც პირობა დადეს, რომ კიდევ არაერთი სიახლით გაახარებენ ერთგულ მსმენელს.

**ვერიკო ტურაშვილი:**

– ეს ჩემი მესამე კლიპია, რომელზეც ანრისთან ერთად ვიმუშავე, მოგეხსენებათ ანრი ჩემი უახლოესი მეგობარია, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ავმოძრავდი და ახლა, როცა ქართული შოუბიზნესი გაჩერებულია, ენერგიულად ვმუშაობ. როგორც კი დავასრულეთ კლიპი, უცბად გადავწყვიტეთ ჩვენების მოწყობა. მეგობრები დაგვეხმარნენ პრეზენტაციის ორგანიზებაში. ვიცი, რომ გოგი დოლიძის სიმღერა „რაც ამ ქვეყნად სიყვარული მეფობს" მაყურებელში განსაკუთრებული სიყვარულით და მოწონებით სარგებლობს. მეც ძალიან მიყვარს, ისიც ვიცი, რომ გოგი დოლიძე ლეგენდაა. მესმოდა, რომ ძალიან სარისკო იყო ამ სიმღერისთვის ხელის მოკიდება, მაგრამ გავრისკე. ჩემს კლიპში კინოს და თეატრის ნამდვილი ვარსკვლავები მონაწილეობენ, უპრობლემოდ დაგვთანხმდნენ და მოვიდნენ, რისთვისაც მათ ულრმეს მადლობას ვეუბნები. ეს ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივია. მათი ჩემს კლიპში მონაწილეობა, იმის გარანტიც არის, რომ კლიპი იქნება წარმატებული და მას მაყურებელი აუცილებლად შეიყვარებს. ბოლო პერიოდში ეს ჩემთვის უკვე მესამე კლიპია და მიხარია, რომ ცოტა ავმოქმედდი. მადლობა ანრის, რომ მეხმარება ყველაფერში. მინდა არა მარტო მე, არამედ ყველანი, ჩემი კოლეგები გავაქტიურდეთ, რომ ქართული შოუბიზნესი გამოცოცხლდეს და მდგომარეობაც გამოსწორდება. ულრმესი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს უსაყვარლეს მეგობარს ანრი ჯოხაძეს.



**ანრი ჯოხაძე:**

– კლიპის პრემიერა სპონტანურად დავგეგმეთ, რომ ფართო ეკრანზე გვეჩვენებინა ეს არაჩვეულებრივი ვიდეორგოლი, არა იმიტომ რომ მე გადავიღე, არამედ იმიტომ, რომ მასში მონაწილეობენ მართლაც გენიალური მსახიობები, მათგან ერთ-ერთი გურანდა გაბუნია კლიპის პრეზენტაციაზე გვესტუმრა. მოხარული ვარ, რომ მათთან მუშაობა მომიწია, ყველა მათგანის წინაშე უდიდესი პატივით ვიხრი ქედს. მადლობა დოის და თიკა შერაზადიშვილს, რომ დაგვითმეს მუსიკის და დრამის თეატრი, სადაც გადაღებები მიმდინარეობდა. ამჯერად ვერიკო ტურაშვილის კლიპის მეგობრულ პრეზენტაციაზე მოგიწვიეთ, მოხარული ვარ, რომ შინაურები შევიკრიბეთ. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის ძალიან, ძალიან თბილი კლიპი. არ არსებობს ქართველი, რომელსაც ეს კლიპი არ მოეწონება. საოცარი ადამიანები მონაწილეობენ. მასში 13 მსახიობია დაკავებული, მათ შორის ნამდვილი ლეგენდები კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ზურა ყიფშიძე, ლეილა აბაშიძე, გურანდა გაბუნია, დუტა სხირტლაძე, გიორგი ყიფშიძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნინო ხომასურიძე, გიორგი გასვიანი, ნინო შავგულიძე, მაკა შალიკაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი. სიმღერა „უნივერსალ სტუდიოში" ჩაიწერა, მადლობა ჩემს მეგობრებს, რომლებიც გვერდში მიდგანან ყოველთვის და ეს კლიპიც მათი ძალისხმევით შეიქმნა.

***– ანრი, სიმღერას თავი დაანებეთ?***

– სიმღერაც და რეჟისორობაც კარგად გამომდის, მაგრამ მიმაჩნია, რომ უფრო კარგი რეჟისორი ვარ. ამიტომ ამ ბოლო პერიოდში უფრო კლიპების გადაღებით ვარ დაკავებული და ჩემს უახლოეს მეგობარს ვერიკო ტურაშვილს ვეხმარები.



**გურანდა გაბუნია:**

– ძალიან მიყვარს ვერიკო ტურაშვილი, ძალიან კარგი მომღერალია. თითქოს მახსოვდა, რომ საერთოდ კლიპში არ ვყოფილვარ გადაღებული, მაგრამ გამახსენდა, რომ ფორტეს კლიპში „თბილისის მზეს" მონაწილეობა მიღებული მაქვს. დღესაც ვეჩხუბები, რატომ აღარ მეძახით, რომ თქვენთან ერთად ვიმღერო-მეთქი და კვდებიან სიცილით. რაც შეეხება ვერიკო ტურაშვილს, ძალიან კარგი გოგოა, კლიპის რე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

სპორტი

# ფრეების დღე

**რეალი – მანჩესტერი 1:1**

**0:1 უელბეკი (20), 1:1 რონალდუ (30)**

**რეალი**: ლოპესი, არბელოა, რამოსი, ვარანი, კოენტრაუ, ხედირა, ალონსო (პეპე 83), დი მარია (მოდრიჩი 75), იოზილი, რონალდუ, ბენზემა (იგუაინი 60)

**მანჩესტერი**: დე ხეა, რაფაელი, ფერდინანდი, ევანსი, ევრა, კერიკი, ჯონსი, კაგავა (გიგზი 64), უელბეკი (ვალენსია 73), რუნი (ანდერსონი 84), ვან პერსი

სპექტაკლის პირველი აქტი დასრულდა. „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართულმა მატჩმა მთლიანად გაამართლა მოლოდინი. მატჩი მართლაც საინტერესო და თვალსასეირო გამოდგა, რომელიც უხვად იყო დახუნძლული საინტერესო მომენტებით.

პირველი მატჩის შედეგით კმაყოფილნი უფრო ინგლისელები უნდა იყვნენ. მათ მოახერხეს არ წაეგოთ და თან მეტოქის მოედანზე გოლიც გაიტანეს, რომელიც პლეი ოფებში საკმაოდ ძვირად ფასობს. თუმცა, ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ საპასუხო მატჩი მანჩესტრში უგოლოდ დასრულდება, რაც მასპინძლებს მისცემს უპირატესობას. ამ თამამ განცხადებას ესპანური ჯახი გვაფიქრებინებს.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობნენ. მანჩესტერელებმა თამაში მეორე ნომრად არჩიეს, თუმცა დროდადრო სახიფათოდ იკბინებოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ „რეალმა" გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შექმნა, შინ სასურველი შედეგით დაბრუნდნენ.

მატჩი მასპინძელი გუნდის დიდი უპირატესობით დაიწყო და პირველმა ტაიმმა ასეც განვლო. მიუხედავად იმისა, რომ საწყის წუთებში, მადრიდელებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, პირველი გოლი სწორედ მათ კარში გავიდა. მე-20 წუთზე, რუნიმ კუთხური მოაწოდა და სერხიო რამოსის დამჯაბვნელმა უელბეკმა თავით ზუსტად დაარტყა.

„წითელი ეშმაკების" სიხარულმა 10 წუთი გასტანა. მასპინძელთა შეტევის მარცხენა ფლანგიდან, დი მარიამ ბურთი საჯარიმოში ძალიან კარგად ჩააწოდა, ხოლო რონალდუმ ჰაერში კალათბურთელივით „დაეკიდა" და ძლიერი, ზუსტი თავურით ანგარიში გაათანაბრა. პორტუგალიელს გატანილი გოლი არ უზეიმია. იმიტომ კი არა, რომ მის გუნდს არ ეზეიმებოდა, როგორც ცნობილია, კრიშტიანუს „მანჩესტერთან" განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს.

მე-2 ტაიმში, თვალსაჩინო უპირატესობას უკვე სტუმრები ფლობდნენ. გამოჩნდა, რომ პირველ ტაიმში აქტიურობამ „რეალს" დიდი ენერგია წაართვა და შესვენების შემდეგ, მადრიდელები მანჩესტერელთა მცველებს უწინდებურად ველარ აწუხებდნენ. ალექს ფერგიუსონის შეგირდებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ვერ გაიტანეს.

ახლა უკვე ყველა 2 კვირის შემდეგ ჯახს ელოდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კრიშტიანუ რონალდუ

შესანიშნავი მატჩი ჩაატარა პორტუგალიელმა. როგორც ყოველთვის საკმაოდ აქტიური და ენერგიული იყო. მარცხენა ფლანგზე პირწმინდად დაჩაგრა რაფაელი, საგოლე მომენტებიც საკმაოდ შეექმნა. მართალია, მათგან მხოლოდ ერთი გამოიყენა, მაგრამ ეს მის ცუდ თამაშზე სულაც არ მეტყველებს.

***მატჩის შემდეგ***

**ალექს ფერგიუსონი:**

– განვლილ თამაშში მრავლად იყო საინტერესო ეპიზოდები. ორივე გუნდმა ბევრი საგოლე მომენტი შექმნა. გული მხოლოდ იმაზე დამწყდა,

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## SMS-განცხადებები – 3090

● ვყიდი მუხრან-თელეთში ახალაშენებულ (გასაკეთებელია სველი წერტილი) 276 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლს, მონტერეის გადახურვით, მეტ. პლასტმასის კარფანჯრებით, რკინის ჯალუზებით, საკ. წყლით, ბუნებრივი აირით, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით. სხლი მდებარეობს თბილისიდან 22კმ-ში. ფასი 30000 დოლარი. 15000 დოლარი ხელზე და 15000 დოლარი განვადებით. ტელ.: 577424122. 599722748. გია.

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს, ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# ქართველებს ჭიდაობის ოლიმპიური თამაშებიდან ამოღება არ აწყობთ



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული სკანდალურ რეკომენდაციას, ჭიდაობის სახეობების (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული) 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღების შესახებ, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე მაყურებელთა დასწრებადობის დაბალ მაჩვენებელს და ტელევიზიების მხრიდან პირდაპირი რეპორტაჟების მხრივ, არცთუ მაღალ დაინტერესებას მიაწერენ.

ეს გადაწყვეტილება სოკ-ის აღმასკომმა ლონდონის თამაშებზე 26-ვე სპორტის სახეობაზე დეტალური დაკვირვების შემდეგ, სოკ-ის კომისიის დასკვნის შედეგად მიიღო. დასკვნა 39 კრიტერიუმისგან შედგებოდა, სადაც აღნიშნული იყო სატელევიზიო რეიტინგები, დოპინგთან ბრძოლა, ბილეთების გაყიდვები და ა.შ. ფარული კენჭისყრის შედეგად რვამ მხარი ჭიდაობის ამოღებას დაუჭირა, ხოლო თანამედროვე ხუთჭიდსა და ბალახის ჰოკეის 3-3 მოწინააღმდეგე ჰყავდა.

როგორც სოკ-ის დოკუმენტშია ნათქვამი, ლონდონში მაყურებელთა დასწრებადობის მხრივ ჭიდაობამ 10 ბალიანი სისტემით 5 ქულა მიიღო, ხოლო 166.854 ბილეთიდან 113.851 გაიყიდა. რეპორტაჟებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით 58 მილიონმა მაყურებელმა მიადევნა თვალი. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ხუთჭიდის რეპორტაჟებით ლონდონში გაცილებით ნაკლები 33 მილიონი გულშემატკივარი დაინტერესდა, თუმცა, ეს იმით ახსნეს, რომ ჭიდაობა 177 ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს, თანამედროვე ხუთჭიდი კი – 108-ს.

აღსანიშნავია, რომ ჭიდაობა ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 708 წელს დაუშვეს, ხოლო თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღდგენის შემდეგ, 1896 წელს, ათენში, იგი პროგრამაში პირადად ბარონ პიერ დე კუბერტენის ინიციატივით შეიტანეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გამართა, სადაც თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების წევრთა წარმატებული გამოსვლაც შეჯამდა თურქეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე.

სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციას, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძესთან, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელებთან და მოჭიდავეებთან ერთად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე დაესწრო.

თამაზ თევზაძის განმარტებით, სეოკის აღმასკომის გადაწყვეტილება ჭიდაობის სახეობების ოლიმპიური თამაშებიდან ამოღების შესახებ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან შესაძლოა განვმარტოთ, როგორც ერთგვარი გამაფრთხილებელი გზავნილი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მისამართით ჭიდაობაში არსებული არაერთი პრობლემატური საკითხის (მათ შორის, წესების დახვეწის, სატელევიზიო პოლიტიკის სწორად წარმოების, კორუფციის აღმოფხვრის და სხვა) მოსაგვარებლად.

მინისტრის მოადგილის თქმით, ჭიდაობა, როგორც ერთ-ერთი უძველესი ოლიმპიური სახეობა და მით უმეტეს, საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მაღალი შედეგების მომტანი სპორტი, ნამდვილად არ იმსახურებს იმ სახეობებს შორის მოხვედრას, რომელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დასვა და უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რათა ჭიდაობამ დააკმაყოფილოს ყველა სახის თანამედროვე მოთხოვნა და რაც მთავარია, ოლიმპიური მოძრაობის ყველანაირი სტანდარტი სამართლიანი სპორტის კუთხით.

**თამაზ თევზაძე:**

– ჩემთვის მოულოდნელი იყო სოკ-ის გადაწყვეტილება, რომელიც ჭიდაობის სახეობების (თავისუფალი, ბერძნულ-რომაული) 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებში შემავალი სახეობებიდან ამოღებას გულისხმობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილა (ჭიდაობის სახეობათა საერთაშორისო ფედერაცია) პრობლემების (ჭიდაობის წესების დახვეწა, სატელევიზიო პოლიტიკის არასწორად წარმართვა, კორუფცია...) წინაშე აღმოჩნდა, სოკ-ის მხრიდან გაკეთებული აღნიშნული განცხადება შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ერთგვარი გამაფრთხილებელი გზავნილი ფილას მისამართით ჭიდაობაში არსებული პრობლემატური საკითხების მოსაგვარებლად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭიდაობა უძველესი ოლიმპიური სახეობაა. ნამდვილად არ იმსახურებს იმ სახეობებში მოხვედრას, რომელთა ოლიმპიურ სახეობათა სიაში მოხვედრის საკითხი დგას. ჭიდაობა საქართველოს სპორტის სტრატეგიული სახეობაა და ოლიმპიადიდან მისი ამოღება ქართულ სპორტს ნამდვილად დააზარალებს. ხელთ მაქვს ამერიკელ სპორტსმენთა გრძელი სია, რომლებიც არ ეთანხმებიან ჭიდაობის ოლიმპიური თამაშებიდან ამოღებას. იმედი დავიტოვოთ, რომ ჭიდაობა ოლიმპიური თამაშების სახეობათა სიაში დარჩება.

თამაზ თევზაძის კომენტარს იზიარებს ლუკა კურტანიძეც. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, ქართველ მოჭიდავეებს ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ არაერთი წარმატების მიღწევა შეუძლიათ, ჭიდაობის ამოღება ოლიმპიადიდან ქართულ სპორტს ნამდვილად დააზარალებს და ეს ყოველივე ასევე უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება სხვა არაერთი საჭიდაო ტრადიციების მქონე ქვეყნისათვის.

**ლუკა კურტანიძე:**

– თურქეთში, იაშარ დოგუს მემორიალზე ჩვენი ფალავნების მიერ ნაჩვენებმა შედეგმა დაადასტურა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და ჩვენი ფალავნების წარმატებით გულშემატკივრებს მომავალშიც ხშირად გავახარებთ. ყოველთვის ვამბობდი, რომ თავისუფალ ჭიდაობაში იმაზე მეტი რეზერვია, ვიდრე აქამდე ვიყენებდით. ამიტომ შედეგებიც იმაზე მეტი უნდა გვქონოდა, ვიდრე გვაქვს. ახალგაზრდებიდან განსაკუთრებით მინდა მძიმე წონაში მოასპარეზე გენო პეტრიაშვილის წარმატება აღვნიშნო. კარსაა მომდგარი ევროპის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. მაქსიმალურად ვეცდებით, როგორც აღნიშნულ, ისე მომავალ ტურნირებში წინანდელზე ბევრად უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ. სამწუხაროდ, საქართველო ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა. არც წარმომადგენელი გვყავს 14-კაციან კომისიაში, რომლის 8 წევრმა 6-ის წინააღმდეგ ჭიდაობის სახეობების ოლიმპიური თამაშებიდან ამოღებას მხარი დაუჭირა. ცუდია რომ, ჩვენ არაფრის შეცვლა შეგვიძლია. მთლიანად ვიზიარებ თევზაძის კომენტარებს, რომლებიც ჭიდაობის ოლიმპიური თამაშებიდან ამოღებას ეხება.

შეგახსენებთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ჭიდაობის სახეობების შესახებ ოლიმპიური თამაშებიდან ამოღების შესახებ 2013 წლის სექტემბერში არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში გასამართ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მიიღებენ.

ამრიგად, სარისკო სპორტებს შორის მოხვედრილი ჭიდაობა შესაძლოა ოლიმპიადის მიღმა დარჩეს, მისი ადგილი კი გორგოლაჭებით სირბილმა, უშუმ, ბეისბოლმა, სკვოშმა, კარატემ, სპორტულმა მეკლდეურობამ ან წყლის დაფებზე სრიალმა დაიკავოს.

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წარმატებაზე თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გამართულ იაშარ დოგუს სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე.

უკვე ვწერდით, რომ თურქეთში ქართველმა მოჭიდავეებმა ჯამში 3 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუნდურ ჩათვლაში კი მე-3 ადგილი დაიკავეს.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60 კგ), დავით მარსაგიშვილი (84 კგ) და ელიზბარ ოდიკაძე (96 კგ). გიორგი ედიშერაშვილმა (55 კგ) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

იაშარ დოგუს 41-ე მემორიალზე სულ 12 ქვეყნის 150-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ თურქეთში ნაჩვენები შედეგი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების პირველი წარმატებაა ახალი მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიური ჩემპიონის – რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით.

# ფრეების დღე

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რომ პირველ ტაიმში ღრმად დავიხიეთ უკან და მეტოქემ თავს უფლება მისცა, ჩვენს საჯარიმოში ის ეკეთებინა, რასაც მოისურვებდა.

რონალდუმ წარმოუდგენელი გოლი გაიტანა. ის ძალიან მაღლა ახტა, ჰაერში საუცხოოდ ითამაშა და ზუსტი დარტყმა შეასრულა. მაგრამ, თუ ამ ეპიზოდს არ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენ მას ცხოვრება გავურთულეთ. მას თამაში გაუჭირდა, ემოციებმა იმძლავრა, თუმცა, როგორც კი ბურთს იღებდა, მაშინათვე თამაშს ამწვავებდა. მისი პროგრესის ყურება ძალიან მახარებს.

ორრაუნდიანი დაპირისპირების გამოცნობა ჯერაც ძალიან რთულია. ვიცით, რომ მოწინააღმდეგე განმეორებით მატჩში აქცენტს კონტრშეტევებზე გააკეთებს. ჯერაც დიდი სამუშაო გაწევა მოგვიწევს, მაგრამ ყველაფერი ჩვენს ხელთაა. თამაშამდე რომ გეკითხათ, 1:1-ს უსიტყვოდ დავთანხმდებოდი. ვფიქრობ, შანსები კვლავაც 50/50-ზეა. ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ გაიტანს პირველ გოლს „ოლდ ტრაფორდზე“. იმ გუნდს, ვინც თავს პირველი გამოიჩინეს, წარმატების დიდი შანსი გაუჩნდება.

**კრიშტიანუ რონალდუ:**

– რთული მატჩი იყო. „მანჩესტერმა“ დაცვაში ბრწყინვალედ ითამაშა. ვფიქრობ, უკეთესი გუნდი ვიყავით და იმაზე მეტს ვიმსახურებდით, ვიდრე მხოლოდ ერთი გოლია. მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, საპასუხო მატჩის წინ მაინც კარგი შანსი გვაქვს. ინიციატივის მოპოვებას შევეცდებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ „ოლდ ტრაფორდზე“ გავიმარჯვოთ.

**შახტარი – დორტმუნდი 2:2**

**1:0 სრნა (31), 1:1 ლევანდოვსკი (41), 2:1 დუგლასი (69), 2:2 ჰუმელსი (87)**

**შახტარი**: პიატოვი, სრნა, რაკიცკი, ჩიგრინსკი, რატი, ფერნანდინიო, ჰუბშმანი, ტეიშეირა (ედუარდო 84), მხითარიანი, ტაისონი (დუგლასი 62), ადრიანო

**დორტმუნდი**: ვაიდენფელერი, პიშჩეკი, სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი, კელი, ბენდერი, კუბა (ლაიტნერი 80), გიოტცე, როისი (შიბერი 90), ლევანდოვსკი

ძალიან ნერვიული მატჩი გამოდგა და ყოველი შეცდომის ფასი დიდი იყო, რასაც ორივე გუნდის ფეხბურთელები პერიოდულად უშვებდნენ საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს. მთლიანად თამაში კი თანაბარი გამოდგა.

პირველი ტაიმი აქაც უფრო სწრაფი გამოდგა, მეორე – შედარებით მშვიდი. უპირატესობა მეორე მატჩის წინ აქაც სტუმრებს აქვთ, თუმცა ყველაფერი მაინც დორტმუნდში გადაწყდება.

დონეცკში დაფიქსირებული შედეგიანი ფრის წყალობით, გერმანელებმა არცთუ მცირე უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ თავიდანვე ცნობილი იყო და „დონბას არენაზე“ გამართულმა შეხვედრამაც დაადასტურა, რომ ამ გუნდებს შორის ნებისმიერი შედეგის დაფიქსირებაა შესაძლებელი და გერმანიაში, „შახტარი“ უშანსოდ ნამდვილად არ იქნება.

უკრაინული კლუბის გულშემატკივართათვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ისაა, რომ მათი საყვარელი გუნდი 2-ჯერ იგებდა, მაგრამ დონეცკელებმა სასურველი შედეგის დაფიქსირება მაინც ვერ მოახერხეს.

ანგარიში 31-ე წუთზე გაიხსნა. სტუმართა კარიდან დაახლოებით 25 მეტრში დანიშნული საჯარიმო დარტყმით გოლი დარიო სრნამ გაიტანა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დორტმუნდელთა მეკარეს ამ ბურთის აღება მართებდა.

ტაიმის დასრულებამდე 4 წუთი რჩებოდა, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში გიოტცემ ჩააწოდა. სტუმართა ლიდერმა, რობერტ ლევანდოვსკიმ, პირველ ცდაზე, ბურთს ფეხი ააცილა, მაგრამ მის წინ მდგომი ორი მცველი ერთმანეთს შეეჯახა და გაზონზე აღმოჩნდა, რის შემდეგაც, პოლონელს გოლის გატანა არ გასჭირვებია.

მიმდინარეობდა 68-ე წუთი, როდესაც ეფექტური გოლით, დუგლასმა წინ კვლავ „შახტარი“ გაიყვანა. მოედანზე 6 წუთის შესულმა ბრაზილიელმა რაკიცკის მიერ გაკეთებული შორეული გადაცემა საჯარიმოს წინა ხაზთან მიიღო და შმელცერთან ბრძოლაში, ვარდნაში დარტყმით, ლამაზი ბურთი გაიტანა.

„დორტმუნდმა“ მეორედ გათანაბრება ამჯერად მეორე ტაიმის ბოლოში მოახერხეს – შმელცერის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ, თავით კარგად ჰუმელსმა ითამაშა, რომელმაც შეხვედრას წერტილი დაუსვა და გერმანელებს უპირატესობა მოუპოვა.

მატჩის საუკეთესო ფეხ ბურთელი – რობერტ ლევანდოვსკი

პოლონელი ფეხბურთელის გარდა მატს ჰუმელსის გამორჩევაც შეიძლებოდა, თუმცა მაინც ლევანდოვსკის მივანიჭეთ უპირატესობა, რადგან მისი პირველი გოლი მნიშვნელოვანი გამოდგა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

*მატჩის შემდეგ*

**იურგენ კლოპი:**

– შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ამ სტადიონზე თამაში ძალიან რთულია. ჩემი გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში დომინირებდა და გოლებს უშვებდა, რაც სავსებით არ იყო დაკავშირებული დაცვაში დაშვებულ შეცდომებთან. ორჯერ დავკარგეთ კონცენტრაცია და ორჯერ ამოვარდით რიტმიდან, მაგრამ ორივეჯერ შევძელით წონასწორობის აღდგენა. დღეს დაშვებული ინდივიდუალური შეცდომები აღარ უნდა გამეორდეს. როდესაც ორჯერ აღმოჩნდები მდევრის როლში, გამარჯვება ძალიან რთულია. დღევანდელი თამაში კარგი საყურებელი იყო და სწორი გზით ვვითარდებით. ვფიქრობ, მართლაც ძლიერად ვითამაშეთ. ჩემპიონთა ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება არ გვაქვს, მაგრამ გოლებმა შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი დაგვიტოვა. ახლა „შახტარს“ მოუწევს გამოცდის დორტმუნდში ჩაბარება. ყველას კარგად გვახსოვს, როგორი ითამაშა ამ გუნდმა „ჩელსის“ წინააღმდეგ, ასე რომ, გადაწყვეტილი ჯერაც არაფერია. პირველი მატჩის შედეგისა და ჩვენ მიერ ნაჩვენები თამაშის მიხედვით შემიძლია ვივარაუდო, რომ განმეორებითი მატჩისთვის ყველაფერი კარგად იქნება.

**მირჩა ლუჩესკუ:**

– შეცდომები, რომლებიც დავუშვით, იმ გუნდის შეცდომებია, რომელიც არ ატარებს ოფიციალურ შეხვედრებს. შეცდომები სწორედ სათამაშო ტონუსის არარსებობამ გამოიწვია. „დორტმუნდის“ თამაშმა დაგვანახა, რომ ის ჩვენზე ძლიერი არაფრით არაა. მხოლოდ ის იყო ნათელი, რომ მან საკუთარ ჩემპიონატში ჩატარებული თამაშებით გვაჯობა. სამწუხაროდ, ჩვენ მათი მსგავსი სირთულის თამაშები არ ჩაგვიტარებია. გერმანელები ძლიერები არიან საჰაერო ბრძოლებში, რაც დღეს როგორც კუთხურების, ასევე ფლანგიდან ჩაწოდებებისას ნათლად გამოჩნდა. მათ სამი ძალიან დინამიური ფეხბურთელი ყავთ შეტევაში – ლევანდოვსკი, როისი და გიოტცე. თავდასხმაში ისინი თამამად ირჯებიან. თუმცა, ჩვენც გვქონდა მომენტი, რომლის გამოყენების შემთხვევაში თამაშის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა. მაგრამ ეს უკვე წარსულია და ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა გავაკეთოთ განმეორებით მატჩში. გული დამწყდება, თუკი ამ ბარიერს ვერ გადავლახავთ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| რეალი-მანჩესტერი | 1:1 |
| შახტარი-დორტმუნდი | 2:2 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ინვერნესი-კილმანროკი | 1:1 |

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ქილმესი-ტიგრე | 0:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-შარლოტი | 101:77 |
| კლივლენდი-სან ანტონიო | 95:96 |
| ორლანდო-ატლანტა | 76:108 |
| ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 6 მოხსნა | |
| ბოსტონი-ჩიკაგო | 71:69 |
| ბრუკლინი-დენვერი | 119:108 |
| დეტროიტი-ვაშინგტონი | 96:85 |
| ნიუ იორკი-ტორონტო | 88:92 |
| მილუოკი-ფილადელფია | 94:92 |
| მინესოტა-იუტა | 93:97 |
| ნიუ ორლეანი-პორტლენდი | 99:63 |
| დალასი-საკრამენტო | 123:100 |
| კლიპერსი-ჰიუსტონი | 106:96 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. სან ხოსე**

| | |
|---|---|
| ისნერი-პოსპიშილი | 7:6;2:6;6:3 |
| ჰაასი-ლევაინი | 6:3;6:1 |

**ვტა. დოჰა**

| | |
|---|---|
| კვიტოვა-მაკაროვა | 6:4;6:0 |
| ვოზნიაცკი-კირსტეა | 7:6;6:0 |
| სტოსური-ნიკულესკუ | 6:4;1:6;6:3 |
| კუზნეცოვა-ბარტოლი | 6:4;6:4 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| პიტსბურგი-ოტავა | 4:2 |
| დეტროიტი-სენტ ლუისი | 3:4(ოტ) |
| კალგარი-დალასი | 7:4 |

## ძმები ბერიშვილები ფიბა-ს არბიტრები გახდნენ

1-9 თებერვალს თურქეთის ქალაქ საქარიაში ფიბა-ს მსაჯთა სალიცენზიო გამოცდები გაიმართა კალათბურთში საერთაშორისო არბიტრის წოდება მისანიჭებლად. აღნიშნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა არბიტრებმა – ირაკლი ბერიშვილმა და დავით ბერიშვილმა.

დღეს საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში მოსული წერილის თანახმად, ძმებმა ბერიშვილებმა წარმატებით გაიარეს გამოცდები და მათ ფიბა-სგან საერთაშორისო არბიტრის წოდება მიენიჭათ. ამრიგად, საქართველოს უკვე 5 ფიბა-ს მსაჯი ჰყავს. პირველი ეს წოდება ზაზა მაჩალაძემ მიიღო, რის შემდეგაც ფიბა-ს მსაჯები დავით ბერეკაშვილი და მაკა კუპატაძე გახდნენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ვინ იმუშავებს რობერტ სტურუასთან?

დასაწყისი მე-12 გვერდზე



დეგ ოქტომბერშივე დაიწყო არასასიამოვნო საუბარი და გამოთქმები ჩვენს მიმართ. დიახ, რუსთაველის თეატრის მმართველის თანამდებობიდან ჩემი გათავისუფლება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. თანამდებობიდან წასვლის მიზნით ჩემზე ზეწოლა არჩევნების შემდეგ, ოქტომბრის თვეშივე დაიწყო. დღეს ლაპარაკობს მინისტრი, რომ ჩვენ ვერტიკალური გადაწყვეტილება მივიღეთ, მაგრამ არ ლაპარაკობს იმ ზეწოლებზე, რომლებიც მოდიოდა კულტურის სამინისტროდან, რომ ჩვენ დაგვეწერა განცხადებები და დაგვეტოვებინა თანამდებობები. აქედან გამომდინარე, როდესაც სამხატვრო ხელმძღვანელი და მინისტრი მიდიან ისეთ ნაბიჯებზე, რომელიც ჩემთვის შექმნიდა კრიზისს, ვამჯობინე, დამეწერა განცხადება და წამოვსულიყავი. ისინი სხვა გზას ვერ ხედავდნენ, რომ ეს პრობლემა გადაწყვეტილიყო. ალბათ, როცა ასე შეთანხმებულად მოქმედებენ სამინისტრო და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მაშინ უკვე მე სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი და მივიღე გადაწყვეტილება, დამეწერა განცხადება. ამ ექვსი წლის განმავლობაში არ ყოფილა პერიოდი, რომ თეატრში არ ყოფილიყო რეპეტიცია, ბოლო ოთხი თვეა, თეატრში ახალი სპექტაკლი არ დადგმულა. პირდაპირ მიდიოდა საუბარი იმაზე, რომ აჯობებს დატოვო თანამდებობა და დაუთმო ასპარეზი ამ შემთხვევაში დიდ რეჟისორ რობერტ სტურუას. როგორ შეიძლება ეს განიხილებოდეს, თუ არა ზეწოლად. აქვე იმასაც დავამატებ, რომ ბოლო ოთხი თვის განმავლობაში თეატრი უკვე ჩიხში იყო შესული და არც ერთი ახალი სპექტაკლი არ ჩაშვებულა. ეს სამხატვრო ხელმძღვანელის პრეროგატივაა, რომელიც ხან ამბობს, რომ არის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხან – არ არის. ჩემს მიერ განცხადების დაწერის ერთ-ერთი მიზეზი გახდა დასისთვის სამთვიანი კონტრაქტების შეთავაზებაც. ბოლო წუთას მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამი თვით დაუდოს დასს ხელშეკრულებები, რომელსაც მე ხელს ვერ მოვაწერდი, რადგან იქ ისეთ მსახიობებზე იყო საუბარი, უბრალოდ არ შემეძლო. იმედი მაქვს, რომ ის თაობა, რომელიც თავის დროზე არ შეუშინდა ასეთ მონოპოლიებს, ისევ გავაგრძელებთ ბრძოლას და საყვარელ საქმეს ბოლომდე გავაკეთებთ, – განაცხადა ზაალ ჩიქობავამ.

თანამდებობა დატოვა ზაალ ჩიქობავას მოადგილემ მარინა საღარაძემაც.

– მქონდა ბედნიერება თეატრის უკვე ყოფილ დირექტორთან, ზაალ ჩიქობავასთან მემუშავა. მისი მოადგილე ვიყავი. მსახიობები ჯერ არაფერს ამბობენ, რადგან გადაწყვეტილება ახალი მიღებულია, მაგრამ მე ვიცი, რომ სამინისტრომ ბევრს დაწყვიტა გული. ჩემთვის ძალიან რთული იყო დღეს აქ მოსვლა, მაგრამ უფლება არ მქონდა ეს არ გამეკეთებინა. დარწმუნებული ვარ, მამაჩემი ზემოდან მიყურებს და მეთანხმება ჩემს გადაწყვეტილებაში. თეატრში იყო უამრავი პროექტი. ვერავინ იტყვის, რომ რუსთაველის თეატრი იყო ჩამკვდარი. ამ ორ წელიწადში, რაც ზაალის მოადგილე ვიყავი, ახალგაზრდა რეჟისორებისთვის დიდი სცენის კარი გაიხსნა. მე პირადად, საკუთარი ნებით დავტოვე ეს თანამდებობა, ვერ წარმომიდგენია თეატრში იმ გუნდის გარეშე ყოფნა, ვინც არის მარკეტინგისა და პიარის სამსახური. ისინი დიდი ზეწოლის ქვეშ იყვნენ. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო და ვუთხრა, რომ ისინი ახალგაზრდები არიან და ყველაფერი წინ აქვთ. ზაალი უდიდესი ადამიანია, ჩვენ არ დავიკარგებით, უბრალოდ უსამართლობას აქვს ადგილი და არ შემეძლო ეს არ მეთქვა, – აღნიშნა მარინა საღარაძემ.

თანამდებობები დატოვეს რუსთაველის თეატრის პიარისა და პროდიუსინგის, მარკეტინგისა და ბიზნესგანვითარების დეპარტამენტების, ასევე იურიდიული სამსახურის თანამშრომლებმაც. მათ საგანგებო განცხადებაც გაავრცელეს:

– მიგვაჩნია, რომ ზაალ ჩიქობავა იყო საუკეთესო მმართველი და ხელმძღვანელი რუსთაველის თეატრისთვის. წლების განმავლობაში, მიუხედავად უამრავი სირთულისა და წინააღმდეგობისა ის ერთგულად ემსახურებოდა თეატრს და ზრუნავდა რუსთაველის თეატრის განვითარებაზე. სამი წლის წინ განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად რუსთაველის თეატრში მოვიდა ჩვენი, საკმაოდ სოლიდური გამოცდილების მქონე გუნდი, რომელიც მმართველთან ერთად ძალიან ეფექტურად მუშაობდა. ვფიქრობთ, უადგილო იქნება ვწეროთ ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეებზე და განხორციელებულ პროექტებზე, მით უფრო, რომ ეს ინფორმაცია საჯაროა და ასევე კულტურის სამინისტროსთვის გაგზავნილ ანგარიშებშიც არის დაფიქსირებული.

ჩვენს მოქალაქეობრივ და მორალურ პოზიციად მივიჩნევთ გავიზიაროთ რუსთაველის თეატრის მმართველის გადაწყვეტილება და სოლიდარობის მიზნით ვწყვეტთ მუშაობას.

მადლობას გიხდით ყველას, იმ ერთგულ მაყურებელს და გულშემატკივრებს, ვინც, ჩვენთან ერთად, აქტიურად იყავით ჩართული რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში.

თეატრიდან წასვლამდე ზაალ ჩიქობავამ კულტურის სამინისტროს სპეციალური განცხადებითაც მიმართა:

– მიუხედავად ჩემი არაერთგზის მცდელობისა, კანონიერების და ადამიანური ურთიერთობის ფარგლებში მოგვარებულიყო პრობლემა, არ გამოვიდა. სამხატვრო ხელმძღვანელის მხრიდან შეიქმნა ხელოვნური კრიზისი, რომლის გამოც ზარალდებიან ის ადამიანები, ვინც თეატრს ქმნიან. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ, თქვენ თავზე აიღოთ პასუხისმგებლობა მომავალში განვითარებულ მოვლენებზე რუსთაველის თეატრში და გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან.

როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა აღნიშნა, ზაალ ჩიქობავას განცხადება ხელოვნების ნიმუშია.

– ის განცხადება, რომელიც ზაალ ჩიქობავამ თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით გააკეთა, მისი მხრიდან კეთილშობილური ჟესტია, რადგან კონფლიქტისა და აზრთა სხვადასხვაობის გამო, თეატრის განვითარების შეფერხება მოხდა. საზოგადოებას აუცილებლად მივცემთ საშუალებას, რომ ჩიქობავას განცხადებას გაეცნონ, რადგან, ჩემი აზრით, იგი ხელოვნების ნიმუშია, – განმარტა ალექსანდრე მარგიშვილმა.

მისივე თქმით, გაზაფხულზე იქნება კანონპროექტის განხილვა, რომლის მიხედვითაც, თეატრის მმართველი სამხატვრო ხელმძღვანელის ფუნქციას შეითავსებს. მანამდე კი, ჯერჯერობით უცნობია, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტს სხვა დაიკავებს თუ არა.

– ვადასტურებ, რომ ზაალ ჩიქობავას ნაცვლად მმართველის თანამდებობაზე სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა მინისტრის გურამ ოდიშარიას გადაწყვეტილებით დაინიშნა, – დასძინა კულტურის მინისტრის მოადგილემ.

რობერტ სტურუა სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან 2011 წელს, ქსენოფობიური განცხადებების მიზეზით აწ უკვე ყოფილი კულტურის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ბრძანებით გათავისუფლდა. რეჟისორმა მუშაობა მოსკოვში ალექსანდრე კალიაგინის თეატრში „ეტ სეტერა“ გადაწყვიტა, სადაც მიწვეული მთავარი რეჟისორი იყო. გასული წლის 19 ნოემბერს მან რუსთაველის თეატრში დაბრუნებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, 30 ნოემბერს კი სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა, თუმცა რობერტ სტურუამ, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელის, ასევე მმართველის ფუნქციების შეთავსების სურვილიც გამოთქვა.

საქართველოს კანონში „საქართველოს სახელმწიფო თეატრის შესახებ„ ცვლილების შეტანის ინიციატივამ, რომლის მიხედვითაც თეატრის მმართველს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს და თეატრის უფროსი სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა გახდეს, საპარლამენტო უმცირესობაში „ერთ კაცზე მორგებულ კანონად“ აღიქვეს. შესაძლო ცვლილება კინომსახიობთა თეატრში მსახიობებისა და რეჟისორების დაპირისპირების მიზეზიც გახდა. აღნიშნულ კანონპროექტს კინომსახიობთა თეატრში შეკრებილთა ერთი ნაწილი დაეთანხმა, მეორე ნაწილმა კი გააპროტესტა და განაცხადა, რომ კანონში ცვლილება ერთი ადამიანის, კერძოდ კი რობერტ სტურუას გამო უნდა შევიდეს, რაც არასწორია. საბოლოოდ, კანონპროექტის ინიციატივა კულტურის სამინისტრომ არ მიიღო.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნუკრი ქანთარია ამბობს, რომ იგეგმება „თეატრების შესახებ“ ახალ კანონზე მუშაობა.

– თუ აქამდე თეატრის მმართველი ნებისმიერი პროფესიის ადამიანი შეიძლება ყოფილიყო, ახალი კანონით თეატრის პირველი პირი უნდა იყოს ხელოვანი. ასე იყო წლების განმავლობაში, ასე იცის ისტორიამ და ასეთ შემთხვევაში იქმნებოდა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. ეს გაზრდის რეჟისურის და მსახიობთა პოტენციალს. გარდა ამისა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა უნდა აირჩიოს მენეჯერი, ვინც განახორციელებს მის იდეებს, თვითონ წარადგინოს, ხოლო შემდეგ დაამტკიცოს კულტურის სამინისტრომ. თეატრები ამ წლების განმავლობაში იყო ძალიან მოთვინიერებული. ხელოვანი კი ადვილად ვერ დაემორჩილება სახელმწიფოს ნება-სურვილებს, როგორც ჩინოვნიკი. უკვე ცნობილია, რომ დავით საყვარელიძემ საკუთარი ნებით დატოვა ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველის თანამდებობა და მასზე ზეწოლა არ ყოფილა, ხოლო რაც შეეხება რუსთაველის თეატრის ყოფილ მმართველს ზაალ ჩიქობავას, აქ გაუგებარი არაფერია – კულტურის სამინისტრომ არჩევანი გააკეთა რობერტ სტურუაზე. ამჟამად მუშავდება „კანონი თეატრის შესახებ“, რომელიც დაარეგულირებს თეატრის ხელმძღვანელის მოქმედების ვადებს, ამბობს ნუკრი ქანთარია.

თეატრებთან დაკავშირებული საკითხები სრულიად ახალი კანონით დარეგულირდება, რომელსაც „პროფესიული თეატრების შესახებ“ ეწოდება. პარლამენტში სადღეისოდ „საქართველოს სახელმწიფო თეატრების შესახებ“ მოქმედ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტია ინიცირებული, რომელიც დეპუტატებს გასული წლის ბოლოს წარედგინა. მის მთავარი სიახლე კი არის ინიციატივა, რომლის თანახმადაც, თეატრის მართვას სამხატვრო ხელმძღვანელი განახორციელებს და ის იმავდროულად შემოქმედებით საქმიანობაზეც იქნება პასუხისმგებელი.

– ინიცირებულ პროექტს პარლამენტი უკან გაიწვევს, ხოლო მის ნაცვლად თეატრებთან დაკავშირებით სრულიად ახალი კანონი მზადდება, რადგან ინიცირებულ ცვლილებებს მოჰყვა ბევრი შენიშვნა და პროფესიონალების რჩევის გათვალისწინებით, პროექტს უკან გავიწვევთ. პარლამენტში კი ახალი „პროფესიული თეატრების შესახებ“ კანონი შევა. მომზადებული ინიციატივა თვისობრივად განსხვავებულია იმით, რომ თუკი აქამდე სახელმწიფო, როგორც დამფუძნებელი, თეატრის მმართველთან დებდა შეთანხმებას, ხოლო მმართველს როგორც მენეჯერსა და პირველ პირს ხელოვანები და შემოქმედები უნდა მოეწვია, ახლა ჩვენ ვამბობთ, რომ თეატრის პირველი პირი ხელოვანი უნდა იყოს, როგორც ეს წლების განმავლობაში იყო, – აღნიშნავს ნუკრი ქანთარია.

***ეკა ირემაშვილი***

# ვერიკო ტურაშვილს ახალი კლიპი აქვს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ჟისორმა ანრი ჯოხაძემ რატომღაც მოინდომა, რომ ამ კლიპში მეც მიმეღო მონაწილეობა. ძალიან ცოტაა შეტანილი ჩემი ესპანური ცეკვის პატარა ილეთი. ისეთი ხალხია ამ კლიპში დაკავებული, გაოცდებით. კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ლეილა აბაშიძე, ზურა ყიფშიძე, ნინო ხომასურიძე, ძალიან მიხარია, რომ ასეთი მსახიობები შეიკრიბნენ. ერთი პლანია ოთარისი, უბრალოდ იყურება. ოთარს არ უყვარს ასეთი რამეები, მაგრამ მონაწილეობა მაინც მიიღო.

***– ეს თქვენი დამსახურებაა?***

– არა, მე არაფერი მითხოვია. ერთმა ისეთმა ახლო მეგობარმა სთხოვა, უარი არ უთხრა. ვერიკოს სიმღერა მომწონს ძალიან. გოგი დოლიძე ხომ იყო ლეგენდა და დარჩა ლეგენდად. მარტო ეს სიმღერა კი არა, გოგი დოლიძის ყველა სიმღერა ლეგენდაა. როცა ვერიკო მღერის, სულ სხვანაირია, მაგრამ ძალიან კარგი. ვერიკო პირველად მოვისმინე ტარიევერდიევის საღამოზე გრიბოედოვის თეატრში და ძალიან მომეწონა. უცებ ჩემმა მეგობარმა მითხრა, მის კლიპში უნდა მიიღო მონაწილეობა, უარი არ მითქვამს, პირიქით, გამიხარდა. რაც შეეხება ანრის, ისიც კარგად მღერის, ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ კარგი კლიპმეიკერიც ყოფილა. ძალიან ბევრი გადამიღო ამ კლიპთან დაკავშირებით, მითხრა მჭირდება, უნდა შევინახოო, ალბათ სადმე გამოიყენებს. ისე კარგად მეხმარებოდა, რომ ვცეკვავდი, მამხნევებდა, მითითებებს მაძლევდა, აბა, ახლა აწიე ხელები, აბა, ახლა მოიხვიე ხელები, ახლა იფიქრე ყველაზე მძიმე წუთებზე და ეს მიდგომა მომეწონა. რეჟისორის შეძახილი მსახიობისთვის სტიმულია და ანრის ამის ნიჭი ჰქონია. თან ისეთ ხალხს დაუძახეს, საოცრად ნასიამოვნები დავრჩი. ნინო ხომასურიძე ისეთ მომენტშია ნაჩვენები, როცა სიყვარულზე და დაკარგულზე და გახსენებაზეა სიმღერა და კარგია. მთლიანობაში რომ გითხრათ, რაც ვნახე, ძალიან მომეწონა.

**რატი დურგლიშვილი:**

– ვულოცავ ვერიკოს და ანრის ასეთი თბილი და სასიამოვნო კლიპის გადაღებას. პირველ რიგში ის გამიხარდა, რომ გააკეთა ყველასთვის საყვარელი სიმღერა და დიდი მადლობა კომპოზიტორს ასეთი ულამაზესი სიმღერის შექმნისთვის. ანრის კი მადლობა იმისთვის, რომ ქართული კინოსა და ესტრადის ნამდვილი ვარსკვლავები შეკრიბა კლიპში და მათი ნახვა კიდევ ერთხელ მოგვიწევს, თანაც ასეთი კარგი სიმღერის ფონზე. მთლიანობაში ლამაზი საყურებელი კლიპია და მჯერა, რომ ქართულ საზოგადოებასაც მოეწონება და აუცილებლად შეიყვარებს.

**რუსუდან ჩხაიძე, ანრის დედა:**

– ანრი კარგი მომღერალია, მაგრამ მას ყოველთვის უნდოდა გამხდარიყო კინორეჟისორი, ამ ბოლო დროს ის მართლაც დაკავდა რეჟისურით და გვერდზე გადადო მუსიკა. იცით, რომ ვერიკო ტურაშვილს არაერთი კლიპი გადაუღო. მომწონს მისი ხედვა. სხვა რეჟისორებს არ ჰგავს და სულ სხვანაირი აღქმა აქვს. ჩემი შვილი ამ კლიპს რომ ამონტაჟებდა, მასთან ერთად არ მეძინა მთელი ღამე და ვგულშემატკივრობდი, მთელი ოჯახი მხარში ვედექით. გინდათ გააკრიტიკონ, გინდათ შეაქონ, როცა ხელოვანი ასპარეზზე ხარ და რაღაცას ქმნი, ეს ყოველთვის ასე იქნება. თანაც როცა მოქმედებ, მაშინ ახსოვხარ საზოგადოებას და არა მაშინ, როცა არაფერს აკეთებ და ჩრდილში დგახარ.

**მაგდა ჯოხაძე, ანრის და:**

– ვულოცავ ვერიკოს კიდევ ერთ წარმატებულ კლიპს. ეს ანრის და ვერიკოს ერთობლივი გამარჯვებაა. მიხარია ვერიკოს სიახლეები. ჩემი ძმა რომ ნიჭიერია, ეს ბავშვობიდან ვიცი და ის ყოველ ნაბიჯზე ამტკიცებს თავის ნიჭიერებას. კლიპი არაჩვეულებრივად თბილი და საოცრად კარგი საყურებელია. მასში გენიალური მსახიობები არიან და მათი ყველას ერთად ხილვა უდიდესი სიამოვნებაა. მჯერა, რომ კლიპს ქართველი მაყურებელი დადებითად მიიღებს და ვერიკოსეულ გოგი დოლიძის სიმღერის ინტერპრეტაციასაც მოიწონებს.



## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 2. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 3. ზმნის დრო გრამატიკაში; 5. აეროპორტი პარიზში; 6. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. გემის სამზარეულო; 14. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15. მთიანეთი აზიაში; 19. სამკითხაო ბანქო.

**თარაზულად**: 1. შაქრითა და სუნელებით შეზავებული ცხელი წითელი ღვინისგან მომზადებული სასმელი; 4. აზნაურთა ტიტული საფრანგეთში; 7. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 9. მომჭირნეობა, ზომიერება ხარჯვაში; 10. პოპულარული ამერიკული თოჯინა; 12. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. საფოსტო გზავნილი; 18. სხვისი კეთილდღეობისათვის უანგაროდ მზრუნველი ადამიანი; 20. ინდოეთის ოკეანესპირა კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 21. თვალმარგალიტით შემკული თავსამკაული; 22. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბრონტე; 2. ქლორი; 3. ტუბა; 5. ვოლანი; 6. ალალი; 7. დრაკონი; 11. ტრესტი; 13. სტილეტი; 14. დოსიე; 15. პაპაინი; 16. ლიგნიტი; 17. ფურორი; 19. ოკაპი; 20. ცემი.

**თარაზულად**: 1. ბოქსიტი; 4. ცეკვა; 8. ბერნი; 9. ლირა; 10. ნარიტა; 12. იკებანა; 14. დასი; 15. პიკადელი; 16. ლისტი; 18. პრადო; 21. რუპია; 22. ტრამვაი; 23. პარხალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პუშერი; 2. რიგელი; 3. იფქლი; 5. გემა; 6. ტეხური; 8. ბორნეო; 11. აბსოლუცია; 13. ალტინგი; 14. ქანქარა; 15. გოდერძი; 19. იაგო.

**თარაზულად**: 1. პოლიქრომია; 4. ონაგატა; 7. შავლეგო; 9. ლაკოსტა; 10. თავლა; 12. სინოპეკი; 16. მონიუშკო; 17. ეტალონი; 18. აქუბარდია; 20. იაგუარი; 21. თითა; 22. ალეგორია.



## ინგლისურ ბურგერებში ცხენის ხორცი აღმოაჩინეს

ევროპის კომისია მთელი სერიოზულობით მიუდგა სკანდალს მას შემდეგ, რაც ინგლისური სუპერმარკეტებიდან ამოღებულ ჰამბურგერებში ცხენის ხორცი აღმოაჩინეს. კომისიის წევრებმა აუცილებლად ჩათვალეს, რომ ხორცეულის დნმ-ზე შემოწმება, ევროკავშირის ყველა ქვეყანაში განხორციელდეს. ამას გარდა, რეკომენდებულია ხორცი შემოწმდეს მასში პრეპარატ ფენილბუტაზონის შემცველობაზეც, რომელიც ცხენების სამკურნალოდ გამოიყენება, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობისთვის კატეგორიულად საზიანოა, იუწყება „რადიო ფრი ეუროპა".

შესაბამისი განცხადება ბრიუსელში, ევროკავშირის მინისტრების სხდომაზე, ჯანდაცვის და სამომხმარებლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისიის წევრმა ტონიო ბორგმა გააკეთა. ევროკომისარმა დაადგინა, რომ ტესტების პირველი სერია უნდა ჩატარდეს მარტში, ხოლო შედეგები შუა აპრილში გამოქვეყნდეს. მისი თქმით, ის ევროკომისიას ასევე თხოვს დაჩქარდეს ხორცის წარმოშობის ადგილის მითითება ეტიკეტებზე. ამ დროისთვის, ევროკავშირის კანონმდებლობა მხოლოდ ახალ ხორცზე მწარმოებელი ქვეყნის მითითებას ითვალისწინებს და სხვადასხა ნახევარფაბრიკატზე ეს წესები არ ვრცელდება.

„პროდუქტების შემადგენლობის ფალსიფიკაცია თაღლითობას წარმოაგენს", აღნიშნავს დიდი ბრიტანეთის გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოუენ პატერსონი. მომწოდებლებზე სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება.

ევროპაში „ხორცის სკანდალი" მას შემდეგ აგორდა, რაც ბრიტანეთის უმსხვილეს სუპერმარკეტებში გეგმიური შემოწმებისას, ბურგერებში ცხენის დნმ აღმოაჩინეს. ამის შემდეგ, ქსელმა მყიდველებს ბოდიში მოუხადა და „ფალსიფიცირებული" ბურგერები გაყიდვიდან გამოიწვია. მსგავსი შემთხვევები მას შემდეგ დაფიქსირდა ესპანეთში, კიპროსში, ლუქსემბურგში, რუმინეთში, საფრანგეთში, შვეციასა და გერმანიაში.

## ბელგიური საცხოვრებელი სახლიდან 46 გამბიური თაგვი „გამოასახლეს"

ბრიუსელის პოლიციამ დედაქალაქის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლიდან 130 სხვადასხვა ცხოველის, მათ შორის 46 გამბიური, ანუ გიგანტური თაგვის კონფისკაცია მოახდიმა, — ინფორმაციას „ინტერფაქსი" ბელგიურ მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს.



საოჯახო ზოოპარკის ამოღება პროკურატურის დავალებით მოხდა. ყველა ცხოველი ბელგიური გარემოს დამცველი ორგანიზაცია „ფრინველების დაცვის ლიგის" რეაბილიტაციის ცენტრს გადაეცა.

პროკურატურა ამ საქმით მას შემდეგ დაკავდა, რაც მეზობლებისგან მრავალრიცხოვანი საჩივრები შევიდა. ამოღებული ცხოველების პატრონს სამართალდამცველები კარგად იცნობდნენ სკანდალების გამო, რაც მის „ცოცხალ კუთხესთან" იყო დაკავშირებული.

ამჯერად პროკურატურა საქმეში ჩაერთო და მფლობელმა ამდენი ცხოველის შენახვის უფლებაზე ვერავითარი დოკუმენტების წარდგენა ვერ შეძლო. ბინის მოცულობა არ არის დაზუსტებული.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## იაროსლავ კაჩინსკი აცხადებს, რომ მისი ძმა მოკლეს



იაროსლავ კაჩინსკი კვლავ აცხადებს, რომ მისი ტყუპისცალი ძმის, პოლონეთის ექს-პრეზიდენტის დაღუპვა, შესაძლოა მკვლელობა ყოფილიყო. განცხადება ამის შესახებ იაროსლავ კაჩინსკიმ დღეს გააკეთა.

მისივე თქმით, ქვეყნის ახლანდელ ხელმძღვანელობას, რომელსაც სათავეში ლიბერალი დონალდ ტუსკი უდგას, ავიაკატასტროფის შესახებ სრული სიმართლის ცოდნა არ სურს.

იაროსლავ კაჩინსკიმ სინანული გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ პოლონეთის პროკურატურამ პრეზიდენტის მკვლელობის ვერსია უარყო და მიზეზად მის ხელთ არსებული მასალები დაასახელა.

„არ მინდა მთელს გამოძიებას ბუტაფორია ვუწოდო, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთავრობა თუკი სრულ სიმართლეს გაიგებს, ეს მათ ავნებს", — აცხადებს კაჩინსკი.

იაროსლავ კაჩინსკი 2006-2007 წლებში პოლონეთის პრემიერ-მინისტრი იყო. პოსტი დატოვა მას შემდეგ, რაც მისი პარტია დამარცხდა 2007 წლის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში.

## რომის პაპმა უკანასკნელი მესა ჩაატარა



რომის პაპმა ბენედიქტ მე-16-ემ, კათოლიკური ეკლესიის მეთაურის რანგში, თავისი უკანასკნელი მესა ჩაატარა. ცერემონია რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში შედგა. ღვთისმსახურების დასასრულს, ლიტურგიის მონაწილეებმა რომის პაპს ოვაციები გაუმართეს. კარდინალებმა და ეპისკოპოსებმა, პატივისცემის ნიშნად პონტიფიკის წინაშე თავსაბურავები მოიხადეს. უამრავ მორწმუნეს თვალზე ცრემლები ჰქონდა — აღნიშნავს „ბი-ბი-სი".

რომის პაპი თავისი მოვალეობის აღსრულებას 28 თებერვლის 17:00 საათამდე შეასრულებს. 27-ში კი ის წმინდა პეტრეს მოედაზე საჯარო აუდიენციას მოაწყობს. ვატიკანმა ახალი პაპი თვენახევრის შემდეგ უნდა აირჩიოს.

შეგახსენებთ, რომ ბენედიქტ მე-16-მ თავისი გადაწყვეტილების შესახებ 11 თებერვალს გამოაცხადა, რაც საზოგადოებისთვის სრული მოულოდნელობა გახდა. უკანასკნელად, რომის პაპის გადადგომა 1415 წელს მოხდა.

2000 წელს, ვატიკანში დადიოდა ხმები თითქოს იოანე-პავლე მეორეც აპირებდა თანამდებობის დატოვებას.

მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის, ალექსეი სვიატოზარსკის აზრით, ბენედიქტ მეთექვსმეტეს გადაწყვეტილება, მხოლოდ ჯამრთელეობის გაუარესებამ არ გამოიწვია. მისი აზრით, დღევანდელი რომის პაპი კონსერვატორია, ხოლო ვატიკანში მეტად მომრავლდა რეფორმისტული განწყობა. თეორიულად, რომის პაპი შეიძლება გახდეს ნებისმიერი, კათოლიკე, თუმცა უკანასკნელი 600 წლის მანძილზე არჩევანი კარდინალებზე კეთდება.

## სირიელმა მეამბოხეებმა ალეპოს საერთაშორისო აეროპორტი აიღეს



სირიელმა მეამბოხეებმა ავიაბაზა „ალ-ნეიბარის" აღების შესახებ გამოაცხადეს, რომელიც ალეპოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ამის შესახებ სააგენტო „როიტერი" იტყობინება. ავიაბაზის ასაფრენი ბილიკი ალეპოს საერთაშორისო აეროპორტისთვისაც გამოიყენებოდა. ასე რომ, ამ ქალაქის საჰაერო მიმოსვლა დანარჩენ სამყაროსთან, ამჟამად შეჩერებულია.

აეროპორტისთვის ბრძოლა წლის დასაწყისიდანვე მიმდინარეობდა. მეამბოხეებმა აეროპორტს ალყა შემოარტყეს და ობიექტზე იერიში მიიტანეს. ამის პარალელურად, მათ ალეპოს დასავლეთის მიმართულებიდანაც შეუტიეს. ამჟამად, მეამბოხეები დამასკოს ცენტრალურ ნაწილშიც იბრძვიან. ერთი დღით ადრე კი, სამხედრო აეროდრომი აიღეს, რომელიც დარაიეში მდებარეობს. სახელისუფლო ძალები ოპოზიციას ინტენსიური დაბომბვებით და რაიონების საარტილერიო დაბომბვებით პასუხობენ.

— სირიის კონფლიქტში დაღუპულთა რაოდენობამ 70 ათას ადამიანს მიაღწია, — ამის შესახებ სააგენტო „ფრანს პრესი" გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის, ნავი პილაის მოხსენებაზე დაყრდნობით იტყობინება.

სამოქალაქო ომის დროს დაღუპულთა რაოდენობის დასახელებისას, პილაიმ გაეროს უშიშროების საბჭოც გააკრიტიკა, კონფლიქტის გადაწყვეტის არაეფექტური პოლიტიკისათვის. ადამიანის უფლებათა დამცველმა უშიშროების საბჭოს უმოქმედობას „კატასტროფული" უწოდა და ამავდროულად, საერთაშორისო სასამართლოს მოუწოდა, გამოძიებულ იქნას კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ფაქტები, რომელსაც სირიაში აქვს ადგილი.

**ეკა ირემაშვილი**

## თბილისში ჯაზსერიები იწყება




16 თებერვლიდან თბილისში კომპანია „ისთერნ პრომოუშენი" რიგით მეოთხე ჯაზსერიებს დაიწყებს. ჯაზური საღამოების პირველი სტუმარი ლეგენდარული ნორვეგიელი მესაყვირე ნილს პიტერ მოლვაიერი იქნება. ის მუსიკის სამყაროში ცნობილია როგორც კომპოზიტორი, მესაყვირე და პროდიუსერი. მესაყვირე თბილისში თავის ბენდთან ერთად ჩამოვა და კონცერტს თბილისი ივენთ ჰოლში გამართავს.

ნილს პიტერ მოლვაიერი ჯაზისა და ელექტრონული მუსიკის სინთეზის პიონერად არის მიჩნეული. მისი შემოქმედებიდან ისიც არის ცნობილი, რომ საყვირს რადიკალურად განსხვავებულად აღიქვამს და ინსტრუმენტის საშუალებით ადამიანისა და ზვიგენის ხმას გამოსცემს.

კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" მიერ ორგანიზებული კონცერტით თბილისის ივენთ ჰოლში ელექტრონული ექსპერიმენტული მუსიკის კონცერტი ჩატარდება. ასეთი მუსიკა საქართველოში ჯერ არ გაჟღერებულა. მოლვაიერის მუსიკას მედიტაციის მუსიკასაც უწოდებენ.

— ასეთი მუსიკა საქართველოში ჯერ არ აჟღერებულა, ამიტომ ყველას მოვუწოდებთ მოვიდნენ და 16 თებერვლის კონცერტს დაესწრონ, — აცხადებენ „ისთერნ პრომოუშენში".

საკონცერტო პროგრამა მოიცავს როგორც თანამედროვე მუსიკას, ასევე სიახლეებს მოლვაიერის შემოქმედებიდან. ნილს პიტერ მოლვაიერის შემოქმედება მთლიანობაში აერთიანებს კლასიკურ ჯაზს, თანამედროვე ფიუჟენს და ელექტრონულ მუსიკას. ჯაზსერიების ორგანიზატორთა თქმით, მოლვაიერის მუსიკა პირველ რიგში არის მათთვის, ვისაც უყვარს აკუსტიკა. ამ მუსიკოსის მთავარ ღირსებად მუსიკის კრიტიკოსები ინსტრუმენტისადმი სრულიად ახალ მიდგომას ასახელებენ, რადგან საყვირი ერთ-ერთი ყველაზე რთული ინსტრუმენტია და მისადმი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება, რადიკალურად განსხვავებულ მუსიკალურ ჟღერადობას ქმნის.

მორიგი კონცერტი ჯაზსერიების ეგიდით 16 მარტს არის დაგეგმილი. თბილისს კონცერტით კეიკო მაცუი ეწვევა. მუსიკოსი არ მალავს, რომ მისთვის გასტროლები და გზაში ყოფნა უდიდესი სიამოვნებაა, რადგან წინ ელოდება ხალხთან სულიერი სიახლოვე და საკუთარი მუსიკით მინიჭებული სიამოვნების უკან დაბრუნების პროცესი. იგი პაცეფისტია და ყველას მოუწოდებს, შეწყვიტონ ყველანაირი საბრძოლო მოქმედებები, შეიკრიბონ ერთად და უსმინონ კარგ მუსიკას, რადგან კარგი მუსიკა მაგიურ ძალას ფლობს და ის აერთიანებს ხალხს.

— მჯერა ჩემს მუსიკასაც შეუძლია ჰარმონია დაამყაროს დედამიწაზე. იმისიც მჯერა, რომ ჩემი მუსიკა ადამიანებს სულიერად შეძრავს და მათზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, — აცხადებს მომღერალი.

20 აპრილს ჯაზსერიების ფარგლებში თბილისში სტეისი კენტი ჩამოვა. მას 8 სტუდიური ალბომი აქვს და მაყურებელთან თითოეული სიმღერის შესრულება და კონცერტის გამართვა, უდიდეს სიამოვნებად მიაჩნია.

ჯაზსერიებს კი 5 მაისს დაასრულებს ლი რაიტენოურის ბენდი. მათი მუსიკალური კარიერა დაიწყო როკით, გაგრძელდა ბლუზით და დასრულდა ჯაზით. ახალგაზრდა მუსიკოსი უდიდესი სპექტრით — ასე აფასებენ ლის შემოქმედებას და შესაძლებლობებს.

ჯაზსერიების ოთხივე ღონისძიება თბილისის ივენთ ჰოლში გაიმართება. ჯაზსერიების ეგიდით გამართულ ყველა კონცერტზე დასასწრები ბილეთი 60 ლარი ღირს, თუმცა თიბისის პლასტიკური ბარათებით ბილეთის შეძენისას 15-20 პროცენტიანი ფასდაკლება მოქმედებს.

## TV პროგრამა

**პარასკევი 15 თებერვალი**

06.30 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან" 17.00 დ/ფ „სიმართლე ატლანტიდაზე" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი" 21.00 ტ/სერ „ბიჭუნა წყალზე" 22.00 „აქცენტები" 23.30 „წითელი ზონა" 00.30 ქართ. მხ/ფ „მიმინო"

08.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში" 14.00 დ/ფ „კოდის კონცხი" 16.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო შიარაღება" 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები" 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი" 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4" 14.40 სერ. „24 – 5" 15.40 სერ. „დამალული სიმართლე" 17.50 სერ. „თილისმა" 18.50 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 სერ. „ღვინის გზა" 00.50 მხ/ფ „საუკეთესო საყვარელი" (მ.სტრიპი) 02.25 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. „იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.45 სერ. „მგზნებარე გული" 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ „კაცია ადამიანი?!" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ალყა" 13.30 კონცერტი-ბიძინა კვერნაძე 14.30 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.15 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 კონცერტი-ქართული მელოდიები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „რობინზონიადა,ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი - ასმათ ოქროპირიძე „უფლის მირქმის დღესასწაულის შესახებ" 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „მიგებება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა" 22.35 მოკ/ფ „ბაკურხეველი ხევსური" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6561 | ევრო — 2,2213 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6095 | 100 რუსული რუბლი — 5,4915 |

**ამინდის პროგნოზი 15 თებერვლისთვის**





## 11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1. ამერიკული ზღაპრები







## მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

# ილია II

## ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


## ბრიტანეთის სამეფო ოჯახი ორსული ქეით მიდლტონის ფოტოებმა გაანაწყენა




ერთ-ერთმა იტალიურმა ჟურნალმა პაპარაცებისგან იყიდა ფოტოები, რომლებზეც ფეხმძიმე ქეით მიდლტონი ბიკინშია დაფიქსირებული. ფოტოები იმ დროს გადაიღეს, როცა ქეითი და მისი მეუღლე პრინცი უილიამი კუნძულ მუსტიკზე ისვენებდნენ.

იტალიური ჟურნალის რედაქციამ ფოტოების ნაწილი ყდაზე დაბეჭდა, რითაც ბრიტანული სამეფო ოჯახის უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით გაანაწყენეს სკანდალის მთავარი გმირები — ქეით მიდლტონი და პრინცი უილიამი.

ქეითის ორსულობის პერიოდში წყვილმა გადაწყვიტა, საზოგადოების თვალს მოშორებოდა, მაგრამ სამეფო ოჯახის პოპულარობა ჟურნალისტებს მოსვენებას არ აძლევს და ქეითსა და უილიამს ყველგან უკან დასდევენ.

„ჩვენ განაწყენებულები ვართ იმით, რომ კემბრიჯის ჰერცოგისა და მისი მეუღლის ფოტოები, რომლებიც მათი დასვენების პერიოდშია გადაღებული, საქვეყნოდ გამოამზეურეს. ეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის აშკარა დარღვევაა“, — განაცხადა სენტ-ჯეიმსის სასახლის პრესსამსახურმა

**გ. მ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ!

### ასტროპროგნოზი 15 თებერვლისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — საღამოს კარგი ახალი ამბავი და ფული გელით. **სასწორი** — ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, ფულიც გექნებათ. **ღრიანკალი** — არ მოდუნდეთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **მშვილდოსანი** — იმდენად მალე მიაღწევთ წარმატებას, რომ გაგიკვირდებათ. **თხის რქა** — პატარა პრობლემას მალე გადალახავთ, მთავარია მოინდომოთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თევზები** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 2. მდინარე პოლონეთში; 3. ძვირფასი ქვა, მარჯნის ქართული სახელწოდება; 5. ნაყვავილარი, დამახინჯებული სახის მქონე ადამიანი; 6. შვედური საავტომობილო კომპანია; 7. საქართველოს ეროვნული გმირი; 11. ნივთების შესანახი, ძველებური საკეტებიანი ხის ყუთი; 13. იტალიური ლიქიორი; 14. უკრაინაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 15. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 16. ინგლისური ნამცხვარი; 17. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 19. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 20. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი.

**თარაზულად**: 1. ქართველი მეცნიერი, გეოდეზიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 4. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანურ ქვეყნებში; 8. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. გადასახადი მიწით სარგებლობისთვის ძველად საქართველოში; 10. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 12. ყურის ექიმი; 14. პოპულარული მატონიზირებელი სასმელი; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 18. შავი ფერის ცხენი; 21. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 22. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 23. უნგრელთა მეორე სახელწოდება.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




## ვინ იმუშავებს რობერტ სტურუასთან?

### სამხატვრო ხელმძღვანელის ადგილი ვაკანტურია

რუსთაველის თეატრი კვლავ ცვლილებების მოლოდინშია. მას შემდეგ, რაც კულტურის სამინისტრომ თეატრიდან გაშვებული რეჟისორი რობერტ სტურუა თანამდებობაზე დააბრუნა, მან სამხატვრო ხელმძღვანელობაზე უარი თქვა და მმართველის ფუნქცია შეითავსა. ამჯერად რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის ადგილი ვაკანტურია და მის დაკავებას კონკურსის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო კანდიდატი შეძლებს.

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე შიდა კონკურსი უკვე გამოცხადდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას თქმით, თეატრის მმართველი ამჟამად რობერტ სტურუაა, შესაბამისად მან სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვა.

— რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობისთვის შიდა კონკურსია გამოცხადებული, რომელსაც კულტურის სამინისტროც კურირებს. ნებისმიერ გადაწყვეტილებას ბჭობისა და აზრთა გაცნობის საფუძველზე ვიღებთ. შესაბამისად, შოთა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვინაობის გარკვევაც ასე მოხდება. თუ ვინ იქნება მმართველი საერთო, გადაწყვეტილების საფუძველზე გავარკვევთ, — განმარტა მინისტრმა.

რუსთაველის თეატრის მმართველად წლების განმავლობაში ზაალ ჩიქობავა მუშაობდა, რომელმაც თანამდებობა დატოვა. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მასზე გარკვეული ზეწოლა ხორციელდებოდა.

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასე მოხდა. ორ ბრძანებას მოეწერა ხელი და მე და დავით საყვარელიძე გაგვათავისუფლეს. დავიწყებ იქიდან, რომ არჩევნების შემ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფაჩულია ისევ იგებს, შენგელია ისვენებს



ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ და თორნიკე შენგელიას „ბრუკლინმა“ ნბა-ში მორიგი მატჩები მოიგეს. დასანანი ისაა, რომ 21 წლის ქართველი მოედანზე ისევ არ ჩანს, თუმცა უკვე მეორე მატჩია, განაცხადშია.

ბრუკლინელებმა საკმაოდ მძლავრი მეტოქე დაამარცხეს. „დენვერმა“ ბოლო 10 თამაშიდან 8 მოიგო და ბრუკლინშიც მორიგი გამარჯვების მოსაპოვებლად ჩავიდა, მაგრამ... მიუხედავად დერონ უილიამსის არყოფნისა, „ნეთსმა“ მეტოქე 119:108 დაამარცხა და აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილში მე-4 ადგილზე აღზევდა. ბრუკლინელებს 31 მოგება და 22 მარცხი აქვთ.

2 მოგებით ნაკლები აქვს და ცხრილში მე-6 ადგილზეა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“, რომელმაც ორლანდოში დაჩაჩანაკებული „მეჯიქი“ 108:76 გაანადგურა. ქართველმა ცენტრმა 17 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ზაზამ 9-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. საუკეთესო ჯოშ სმიტი გახდა 30 ქულით, 10 მოხსნითა და 5 პასით.

მომდევნო მატჩები გვარიანად გვიან გაიმართება. მიზეზი ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქციაა, რომელიც პარასკევიდან კვირამდეა გადაჭიმული. „ატლანტა“ მომდევნო შეხვედრა 20 თებერვალს „მაიამისთან“ ჩაატარებს, ხოლო „ბრუკლინი“ 19-ში „მილუოკის“ დაუპირისპირდება.

**მ. ჟ.**